რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში

თბილისი, 2022-2023

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

კვლევა მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და Zinc Network-ის დახმარებით. კვლევაში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება IDFI-ის და იგი არ ასახავს USAID-ის, შეერთებული შტატების მთავრობის ან Zinc Network-ის შეხედულებებს.

სარჩევი

ძირითადი მიგნებების შეჯამება 01
შესავალი 03
კვლევის მეთოდოლოგია 04
კომპანიების შერჩევის პრინციპი 04
სამშენებლო სექტორი 05
მსხვილი ინვესტიციები 06
ტურიზმი/სასტუმრო მომსახურება 06
საგზაო-სატრანსპორტო გადაზიდვები 08
კომუნიკაციების სექტორი 10
მობილური ოპერატორები 10
“ვიონი საქართველო” 10
ფიქსირებული ტელეფონი და ინტერნეტი 11
სამაუწყებლო კომპანიები 13
ტელეკომპანია “რ.ბ.ჯ.” (R.B.G.) 13
საბანკო სექტორი 14
სასარგებლო წიაღისეული და მინერალური წყლები 16
შპს RMG (RICH METALS GROUP) 16
შპს „კაპიტალ ჯგუფი” 17
შპს “მეგა ჰოლდინგი” (თბილცემენტ ჯგუფი) 17
შპს “მინერალური წყალი საირმე” 18
შპს “აიდიეს ბორჯომი საქართველო” 18
შპს “გრუზვინპრომი” 19
შპს “მიქსორი” 20
საქართველოს ენერგობაზარზე არსებული ვითარება 21
ელექტროენერგია 21
სს „ინტერ რაო“ 22
სს “თელასი” 22
სს “ხრამჰესი I” და სს “ხრამჰესი II” 23
შპს “ენგურჰესი” 23
სს “საქრუსენერგო” 24
შპს “მტკვარი ჰესი” 24
სს “დარიალი ენერჯი” 26
შპს „ენერგია“ („შილდაჰესი“) 26
შპს „ფშავი ჰიდრო“ 26
ნავთობისა და გაზის ბაზარი 27
შპს „ლუკოილ ჯორჯია“ 29
შპს „პეტროკასს ენერჯი ჯორჯია” 29
შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ“ - საქართველო 30
GULF AVIATION GEORGIA 30
შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ 30
“პეტროკასის” კავშირები “როსნეფტთან” და სანქცირების საფრთხე 31
ბუნებრივი აირი 31
დასკვნა 32

ძირითადი მიგნებების შეჯამება

- "უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორის კვლევის" მიხედვით, 2022 წლის იანვრიდან-ნოემბრამდე რუსეთის მოქალაქეების წილი, თბილისში სახლის/ბინის ნასყიდობის ტრანზაქციებში 0,9%-დან 5%-მდე გაიზარდა, ხოლო ბათუმში 5%-დან 17,6%-მდე;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გასაჯაროებული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს (9 სექტემბრამდე) რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 15,164 შენობა/ნაგებობა (მათ შორის, 13,262 ბინა) და 13,850 მიწის ნაკვეთი შეიძინეს;

- 2022 წელს რუსეთის მოქალაქეების ვიზიტებისა და მათგან მიღებული შემოსავლების წილი საერთო რაოდენობაში, უსწრებს 2019 წლის მაჩვენებლებსაც, როცა 8 ივლისამდე რუსეთ-საქართველოს შორის არსებობდა პირდაპირი ფრენები და არ იყო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები;

- 2023 წლის იანვარ-თებერვალში სასაქონლო ექსპორტი რუსეთში გაზრდილია 38%-ით, სომხეთში კი — 197%-ით. ექსპერტების აზრით, სავაჭრო ტრენდებზე დაკვირვება უჩვენებს, რომ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში გაზრდილი ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება რუსეთისაკენ - და ამ კონტექსტში ხაზგასმულია საქართველოდან რუსეთში რეექსპორტი;

- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომერციულ ბანკებში ანგარიში გახსნილი ჰქონდა რუსეთის 161,032 მოქალაქეს (ფიზიკურ პირს) და 55 იურიდიულ პირს. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები შეადგენს 2,87 მილიარდ ლარს, რაც 2,16 მილიარდი ლარით აღემატება ომის დაწყებამდე არსებულ (2022 იანვრის) მაჩვენებელს;

- კომუნიკაციების სფეროში, რუსი ოლიგარქი, მიხაილ ფრიდმანი იყო "ვიონი საქართველოს" ბენეფიციარი მფლობელი, თუმცა 2022 წლის მაისში, კომპანიის 100%-იანი წილი ბიზნესმენმა ხვიჩა მაქაცარიამ შეიძინა;

- ფრიდმანის მისი სხვა კორპორაცია „ალფა ჯგუფი" ფლობს მინერალური წყლის, „ბორჯომის" წარმოებას საქართველოში. 2022 წლის ივნისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანიის მაკონტროლებელი აქციონერი (ფრიდმანი) საქართველოს მთავრობას გადასცემდა 7.73%-იან წილს. კომპანიის ოფშორულ ზონაში რეგისტრაციის გამო, ვერ ხერხდება საბოლოო მფლობელებს შორის წილების გადანაწილების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება და იმის დადგენა, რა გავლენა დარჩა ფრიდმანს ბორჯომზე;

- კომუნიკაციების სფეროში იკვეთება ანტიდასავლური განცხადებებითა და რუსეთთან დაახლოების წინადადებებით ცნობილი - "პატრიოტთა ალიანსის" ყოფილი წევრის, ფრიდონ ინჯიასა და მისი ოჯახის მნიშვნელოვანი გავლენა. ახალი ქსელებისა და CGC-ის მეშვეობით ფრიდონ ინჯია აკონტროლებს ფიქსირებული სატელეფონო ბაზრის 25.19 %-სა და ფიქსირებული ინტერნეტბაზრის 6.2%-ს. ფრიდონ ინჯიას საკუთრებაშია შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - "ფოპნეტი". ამ უკანასკნელის ბიზნესპარტნიორია რუსული კომპანია "ვესტელკომი", რომელიც, თავის მხრივ, რუსული საკომუნიკაციო კომპანია "როსტელეკომის" შვილობილი კომპანიაა;

- საბანკო სექტორში, იდენტიფიცირებული იყო მხოლოდ „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" რუსული კომპანია „ვეტებე ბანკი"-ს მფლობელობა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი შეუერთდა საერთაშორისო სანქციებს და ვითიბიმ საკუთარი პორტფელების სხვა ბანკებზე გასხვისება დაიწყო;

- სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების სექტორებში რუსული კავშირები, მფლობელობისა და მმართველობითი წილები, ისევე როგორც მმართველ პარტიებთან აფილირება გამოიკვეთა შემდეგ კომპანიებში: RMG Gold, შპს "მინერალური წყალი საირმე", შპს "კაპიტალ ჯგუფი", შპს "მეგა ჰოლდინგი", "გრუზვინპრომი", შპს "მიქსორი";

- შპს “მინერალური წყალი საირმე” მინერალური წყლების მოპოვების 5 სხვადასხვა ლიცენზიას ფლობს. კომპანიის მესაკუთრეცა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი რუსეთის მოქალაქეები არიან. საბჭოს აღნიშნული წევრი, გია გვიჩია, რუსეთში ცნობილი მილიარდერია, მისი და, ნანა გვიჩია კი პეტერბურგის ტურიზმის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეა;

- შპს “მიქსორი” მინერალურ წყლებს მოიპოვებს. კომპანიის ერთ-ერთი მეწილე შპს “ქისთოუნ ინვესთმენთსია”, რომელსაც, თავის მხრივ, რუსეთის მოქალაქე თემურ ანჩაბაძე ფლობს. “ქისთოუნ ინვესთმენთსი” ანჩაბაძის რუსული ბიზნესჯგუფის წევის კომპანიაა და მათსავე ვებგვერდზე აღწერილია როგორც კომპანია, რომელიც მიიღებს მონაწილეობას South Stream პროექტში, რათა გაზარდოს რუსული ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდება და დამატებითი გაზის ტრანსპორტირება ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთის რეგიონებში;

- ნავთობის სექტორში რუსული პროდუქციის წილი მკვეთრად გაზრდილია. 2021 წელთან შედარებით, რუსეთიდან იმპორტირებული ნავთობის საერთო ღირებულება 361%-ით არის გაზრდილი;

- საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ღირებულება 2021 და 2022 წლებს შორის $90,7 მილიონიდან $112 მილიონამდე, 24%-ით გაიზარდა;

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთიდან საწვავს იღებს არის ბაზარზე მოთამაშე ყველაზე მსხვილი 5 კომპანიიდან 4: „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (გალფი), „ლუკოილ ჯორჯია“, „ვისოლი“ და „სოკარი“;

- სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების სექტორებში რუსული კავშირები, მფლობელობისა და მმართველობითი წილები, ისევე როგორც მმართველ პარტიებთან აფილირება გამოიკვეთა შემდეგ კომპანიებში: შპს RMG Gold, შპს “მინერალური წყალი საირმე”, შპს “კაპიტალ ჯგუფი”, შპს “მეგა ჰოლდინგი”, “გრუზვინპრომი”, შპს “მიქსორი”;

- რუსეთიდან შემოსული ელექტროენერგიის წილი იმპორტირებულ ელექტროენერგიაში არის 25% (252.2 მლნ. კვტ/ სთ). დანარჩენი მოდის აზერბაიჯანსა (60%) და თურქეთზე (15%).

შესავალი

რუსეთის მავნე გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კვლავ განსაზღვრავს რეგიონის მწვავე გამოწვევებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი წლების განმავლობაში აწარმოებს, მოიცავს ამა თუ იმ ქვეყნის სუსტ წერტილებზე, კოორდინირებული მოქმედებებით დარტყმას. საქართველოს შემთხვევაში, ერთ-ერთი სუსტი წერტილი ქვეყნის ეკონომიკური სექტორის მოწყვლადი მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ჰიბრიდული ომი, მისი სტრატეგიები და დეზინფორმაციული ნარატივები დიდი ხანია დისკუსიის საგანია, საქართველოში ბიზნესის სხვადასხვა სფეროში რუსული გავლენის კვლევას ჯერ კიდევ აკლია განახლებული, ემპირიული მტკიცებულებები. კრემლი დიდი ხანია იარაღად იყენებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან და ფულის ბრუნვასთან როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში. ეს ნიშნავს, რომ კორუფციული პრაქტიკის ექსპორტი მიზანმიმართულად გამოიყენება დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებისა და დესტაბილიზაციისთვის, განსაკუთრებით – გარდამავალი დემოკრატიის სისტემის მქონე ქვეყნებში. კონტრდეზინფორმაციული აქტივობები გასცდა მხოლოდ მედიის ჩარჩოებს და აღიარებს ფულსა და ბიზნესს, როგორც მავნე გავლენისა და საშუალებების ძირითად ვექტორებს არაწრფივი/ არასწორხაზოვანი ომის ინსტრუმენტებში.

ასეთი ტიპის კავშირებისა და გავლენის გამოაშკარავება მნიშვნელოვანია, რადგან ეს ზეგავლენა ხშირად სცდება ბიზნესის საზღვრებს და ვრცელდება მედიაზე, პოლიტიკაზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებზე. ზოგადად, ბიზნესი დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ აქტორებთან და გავლენას ახდენს საზოგადოების აღქმასა და გრძელვადიან დამოკიდებულებებზე. ასეთი მჭიდრო კავშირების გამოკვლევა - პოლიტიკურ, სამოქალაქო და მედია აქტორებსა და ბიზნესკომპანიებს შორის, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები ფლობენ, აუცილებელია იმისათვის, რომ გავიგოთ რუსულ კაპიტალზე დამოკიდებულების ხარისხი ქართულ ბიზნესსა და სტრატეგიულ სფეროებში (რაც შეიძლება, გარკვეულწილად, ემუქრებოდეს ქვეყნის უსაფრთხოებას).

ეს ასევე მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ვრცელი საინფორმაციო გარემოს გასაცნობიერებლადაც. წინამდებარე კვლევის მიზანია, საქართველოში რუსული კაპიტალის შესწავლა და მის უკან მდგარი პირების იდენტიფიცირება.

კვლევა ასევე საშუალებას იძლევა იმ მავნე პოლიტიკური, მედია და სამოქალაქო აქტორების დაფინანსების წყაროების გამოაშკარავებას, რომლებიც აქტიურად ავრცელებენ დეზინფორმაციას ქვეყანაში.

2015 წელს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გამოაქვეყნა ანგარიში „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“. ანგარიშში განხილული და შესწავლილი იყო რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული კომპანიების მუშაობა, რესურსები და კავშირები ბიზნესის სხვადასხვა დარგში, როგორიცაა ენერგოსექტორი, ნავთობი, გაზი, ჰიდრორესურსები, მანქანათმშენებლობა, სამთო მოპოვება, ტურიზმი, მინერალური წყლები, საბანკო/ ინვესტიციების და სხვა მსხვილი სექტორები.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების საპასუხოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტმა და ევროკავშირმა, ასევე რიგმა სახელმწიფოებმა რუსეთის ფინანსური ინსტიტუტების, კომპანიებისა და და ფიზიკური პირების წინააღმდეგ სანქციების არაერთი პაკეტი შემოიღო. მიმდინარე კვლევაში განხილულია ის კომპანიებიც, რომლებიც საქართველოშიც მუშაობდა და მოხვდა სანქცირებულთა სიაში. მათ შორის უდიდესი - „ვეტებე ბანკი", რის შემდეგაც სანქციები ასევე შეეხო ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიასაც". სანქციების ამოქმედების შემდეგ ბანკმა პორტფელი სხვა ბანკებზე გაასხვისა და ოპერირება გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

კვლევის მეთოდოლოგია

პირველადი მონაცემების შეგროვების სტრატეგია:

IDFI-ის გუნდმა ექსპერტებთან ერთად გააანალიზა ოფიციალური დოკუმენტები, საჯარო რეესტრში განთავსებული მასალები, ლიცენზიები და მედიის რესურსები. კვლევა, ძირითადად, მოიცავს საჯარო რეესტრისა და ანგარიშგების პორტალის მონაცემების (reportal.ge), ვებგვერდების, საჯარო სოციალური მედიის ანგარიშების (მათ შორის LinkedIn) და ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან მედიაში არსებული ინფორმაციის ანალიზს.

IDFI-მ კომპანიები შეისწავლა 5 მიმართულებით:

- ინფორმაცია კომპანიების მფლობელებსა და მეწილეებზე, კავშირები რუსეთის ხელისუფლების წრეებთან, საქმიანობა პოლიტიკასა და ბიზნესში, რუსეთიდან პირდაპირი ინვესტიციები და ფინანსური წყაროები;
- ბიზნეს საქმიანობისა და სხვა ინტერესის სფეროები;
- განხორციელებული პროექტები, პოლიტიკური პარტიები/აქტორების დაფინანსება, ორგანიზაციები, მედია, მოვლენები და აქტივობები;
- პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში;
- შესაძლო კავშირები ქართულ პოლიტიკურ ჯგუფებთან/ პარტიებთან/ პოლიტიკოსებთან/ სახელმწიფო მოხელეებთან/ აქტივისტებთან/ ჟურნალისტებთან, საზოგადოებრივი კავშირი მათ საქმიანობასა და ლობისტურ ტენდენციებს შორის.

კომპანიების შერჩევის პრინციპი:

კვლევის ფარგლებში, კომპანიების შერჩევა საკვლევი სფეროების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ მოხდებოდა ერთიანი სტანდარტით, ამიტომ IDFI-მ თითოეულ სფეროში მომუშავე კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდი აირჩია.
კვლევის პირველ ეტაპზე გაანალიზდა კომპანიები 4 სფეროდან: სატელეკომუნიკაციო სექტორი, საბანკო სფერო, წიაღისეულის მოპოვება, მინერალური წყლები.

სატელეკომუნიკაციო სფეროში შესწავლის ობიექტებად გამოვლინდა მობილურ სატელეფონო ბაზარზე, ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარსა და ინტერნეტბაზარზე მომუშავე ყველა კომპანია. აღნიშნული კომპანიების აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. რაც შეეხება სამაუწყებლო სფეროს, მაუწყებლებში რუსული გავლენის შესწავლა უფრო მეტად შინაარსობრივი შესწავლის (კონტენტ ანალიზის) საკითხია, რომელიც სცდება დაგეგმილი კვლევის ფარგლებს. თუმცა, წინამდებარე კვლევაში განხილულია რამდენიმე მაუწყებლის შემთხვევა, რომელთა მფლობელობის გარშემოც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. საბანკო სექტორში შესწავლილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული 15-ვე ბანკი, რომელთა მფლობელებისა და აქციონერების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯაროდ, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების სფეროებში მომუშავე კომპანიებს საქმიანობისთვის სჭირდებათ სპეციალური ლიცენზიები. შესაბამისად, მათ შესახებ ინფორმაციის მიღება მოხდა მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსგან.

მეორე ეტაპზე კვლევა შეეხო საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე არსებულ ვითარებას: ელექტროენერგიის, ნავთობისა და გაზის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ამ მიმართულებებით კვლევის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ რუსეთისთვის ენერგოდამოკიდებულების ბოროტად გამოყენება ჩვეული პრაქტიკაა (ჯერ კიდევ 2006 წლიდან მოყოლებული). რუსეთი საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელებისთვის აქტიურად იყენებს ენერგორესურსებზე, განსაკუთრებით კი გაზზე დამოკიდებულებას.

კვლევის ფარგლებში, IDFI-მ ღია წყაროებში მოიძია და ოფიციალური უწყებებიდან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. ორგანიზაციამ შეისწავლა ჰესების, ენერგოგადამცემი ხაზების, საქართველოში ტრანსპორტირებული ენერგომატარებლების შესახებ ინფორმაცია.

მესამე ეტაპზე განხორციელდა **სამშენებლო სექტორის, მსხვილი ინვესტიციების ტურიზმის/სასტუმრო მომსახურებისა და საგზაო-სატრანსპორტო გადაზიდვების კვლევა.** ამ შემთხვევაშიც შემოწმდა საშუალო და დიდი ზომის კომპანიები. ამ კუთხით, IDFI გასცდა კვლევის მეთოდოლოგიას, რადგან აღნიშნულ სექტორებზე მნიშვნელოვანი იყო იმ გავლენების კვლევა, რაც 2022 წელს რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის ორმა ტალღამ გამოიწვია. უკრაინასთან ომის დაწყებისა, (2022 წლის მარტი) და შემდგომში ე.წ. "ნაწილობრივი მობილიზაციის" შემდეგ (2022 წლის ოქტომბერი), საქართველოში ასობით ათასი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა, რომელთა ნაწილი ქვეყანაში დარჩა. ამან დიდი გავლენა იქონია მესამე ეტაპზე მიმოხილულ სექტორებზე, რაც კვლევაში არის აღწერილი.

კვლევაში მოცემულია განახლებული ინფორმაცია 2023 წლის აპრილის მონაცემებით.

სამშენებლო სექტორი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზის მიხედვით[1], სამშენებლო სფეროში რეგისტრირებული საშუალო ზომის, უცხოური 20 კომპანიიდან/ან მისი ფილიალიდან, მხოლოდ სამია რუსეთის მოქალაქის დაფუძნებული, ხოლო დიდი ზომის ეკონომიკური ოპერატორებიდან, არცერთი არ არის დაკავშირებული რუსეთთან. ნახსენები სამი კომპანიიდან ერთ-ერთია შპს "დს ჯგუფი" (DS GROUP), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ბენია დავიდოვია.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" კვლევის მიხედვით, 2014-2015 წლებში ბათუმში მდებარე ერთ-ერთ რეკრეაციულ ზონას ბათუმის მერიამ სტატუსი მოუხსნა და ინვესტიციის უკეთ მოზიდვის მიზნით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადასცა. სამინისტრომ კი ტერიტორია შპს "დს ჯგუფზე" სიმბოლურ ფასად გაასხვისა. ამავე დოკუმენტის თანახმად, კომპანია ბათუმში ბინათმშენებლობის სფეროს ერთ-ერთი დიდი მოთამაშეა.

IDFI-მ დამატებით შეისწავლა სამშენებლო სფეროში არსებული მსხვილი კომპანიების პროფილები და სხვადასხვა დროს სექტორის შესახებ მომზადებულ კვლევებში გამოკვეთილი რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპანია, რომელთა მფლობელობაში რუსული კვალი ან სხვაგვარი რუსული კავშირები არ გამოიკვეთა. შესაბამისად, აღნიშნულ ეკონომიკურ სექტორში საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების პირდაპირი ნიშნები არ ჩანს.

2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში რუსი მიგრანტების შემოსვლამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის და, შესაბამისად, ფასების ზრდაზე. შესაძლებელია, ეს სამომავლოდ განხილული იყოს რუსული კომპანიების საქართველოში სამშენებლო სექტორით დაინტერესების მნიშვნელოვან წინაპირობად. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული "უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორის კვლევის" მიხედვით, 2022 წლის იანვრიდან-ნოემბრამდე რუსეთის მოქალაქეების წილი თბილისში სახლის/ბინის ნასყიდობის ტრანზაქციებში 0,9%-დან 5%-მდე გაიზარდა, ხოლო ბათუმში 5%-დან 17,6%-მდე.



წყარო: ამონარიდი საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევიდან - უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორის კვლევა

[1] მონაცემები ასახავს 2023 წლის 22 იანვარის მდგომარეობას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გასაჯაროებული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს (9 სექტემბრამდე) რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 15,164 შენობა/ნაგებობა (მათ შორის, 13,262 ბინა) და 13,850 მიწის ნაკვეთი შეიძინეს. სამწუხაროდ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უპასუხოდ დატოვა რუსეთის მოქალაქეების მიერ 2022 სრული წლის განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების შესახებ IDFI-ის დეტალური ინფორმაციის მოთხოვნა.

მსხვილი ინვესტიციები

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, ქვეყნების მიხედვით, რუსეთი მე-6 ადგილს იკავებს 41,8 მილიონი დოლარით (2022 წლის მესამე კვარტლის მონაცემები).

2021 წელს რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 75,5 მილიონი აშშ დოლარი იყო, საქართველოში შემოსული ინვესტიციები კი მთლიანად 1,24 მილიარდს შეადგენდა. საქსტატის წინასწარი მონაცემებით[2], 2022 წლის სრული ინვესტიციების მოცულობა 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც რუსეთიდან შემოსული ინვესტიციების წილი 71 მლნ დოლარია, რითაც უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების რიგში რუსეთი მე-9 ადგილს იკავებს.

ტურიზმი/სასტუმრო მომსახურება

სასტუმრო მომსახურების სფეროში რეგისტრირებულ მსხვილ კომპანიებს შორის არ არის რუსული ან მასთან დაკავშირებული კომპანიები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ წარმოებს ტურისტული კომპანიების რეგისტრაცია და, შესაბამისად, მათი მონაცემთა ბაზის შედგენა, IDFI-მ შეისწავლა ბაზარზე არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპანია, რომელთა შორისაც არ აღმოჩნდა რუსული მფლობელობა/კავშირები, რაც განაპირობებდა საკვლევ ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანი რუსული კაპიტალის არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ კომპანიებში არ დასტურდება რუსული მფლობელობა/ კავშირები, რუსეთის უკრაინის შეჭრის შემდეგ, საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მზარდი შემოდინება და შექმნილი გეოპოლიტიკური გარემოებები, შესაძლებელია განხილული იყოს მნიშვნელოვან წინაპირობად ტურიზმის სფეროში რუსული კომპანიების ინტერესის ზრდის კუთხით.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს, ადგილობრივ ბაზარზე რუსული ტურისტული კომპანიების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ცნობები, რომლებიც მომხმარებლებს საქართველოდან გამყვან ტურებსაც კი სთავაზობს.

ამასთან, რუსეთის მოქალაქეების საქართველოში ვიზიტზე ინტერესის ზრდა ხელს უწყობს ტურიზმის სფეროს რუსეთზე დამოკიდებულებას. მაგალითად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2022 წელს რუსეთიდან ვიზიტორების რაოდენობამ 1,087,257 შეადგინა, რაც საერთაშორისო ვიზიტორების საერთო რაოდენობის 23%-ია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 891 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საერთაშორისო ვიზიტებიდან მიღებული საერთო შემოსავლების 25%-ია. 2022 წელს რუსეთის მოქალაქეების ვიზიტებისა და მათგან მიღებული შემოსავლების წილი საერთო რაოდენობაში, უსწრებს 2019 წლის მაჩვენებლებსაც, როცა 8 ივლისამდე რუსეთ-საქართველოს შორის არსებობდა პირდაპირი ფრენები და არ იყო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები.



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

[2] მთლიანი წლის შედეგები ქვეყნდება მომდევნო წლის მაისში. კვლევაში მოცემულია წინასწარი მონაცემები (2022 წლის აპრილის მდგომარეობით).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, "საერთაშორისო ვიზიტორებად ითვლებიან 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაურები, რომლებმაც განახორციელეს ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით". ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომლებიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. აღნიშნული დათქმა სრულყოფილად ვერ იძლევა ვიზიტორების ტურისტული მიზნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წელს რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის 1,46 მილიონი შემთხვევა აღირიცხა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წლის 25 თებერვლიდან 30 ივნისამდე შემოსული პირებიდან, მინიმუმ ერთი თვის დაყოვნების შემდეგ, ქვეყანა კვლავ არ ჰქონდა დატოვებული რუსეთის 42,577 მოქალაქეს. 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით, ქვეყანაში დარჩენილი იყო რუსეთის 112,733 მოქალაქე. სამწუხაროდ, სამინისტრომ IDFI-ის 2022 წლის სრული მონაცემები აღარ მიაწოდა.

საქართველოს პარლამენტში, „მინისტრის საათის" ფორმატში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა რუსეთის მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად განმარტა, რომ ომის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული იყო 913 ათასი რუსეთის მოქალაქე (უნიკალური პირი), საიდანაც 866 ათასი უკან გავიდა. აღნიშნული მონაცემების სიზუსტის გადამოწმება, იმ ფონზე, როდესაც სამინისტრო არ გასცემს ოფიციალურ სტატისტიკას, შეუძლებელია.

2023 წლის პირველ სამ თვეში საქართველოში რუსეთის მოქალაქეებმა 5,332 ბიზნესი დაარეგისტრირეს. 2022 წელს კი 15,000-მდე. შესაბამისად, აქტიურობა ამ მიმართულებით იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმისაწვდომი სტატისტიკა არ იძლევა დეტალურ სურათს რუსეთის მოქალაქეების ვიზიტების მიზნობრიობასთან დაკავშირებით, საქართველოში მათი გახშირებული ვიზიტები ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის სფეროში რუსული კომპანიების ინტერესის ზრდას.

საგზაო-სატრანსპორტო გადაზიდვები

2023 წლის მარტის მდგომარეობით, სატვირთო საგზაო ტრანსპორტის სფეროში, საქართველოში რეგისტრირებულია საშუალო ზომის 15 კომპანია (არცერთი მსხვილი), რომელთაგან 10 არის ადგილობრივი, ხოლო 5 უცხოური, თუმცა არცერთი მათგანი არ არის რუსული.

რაც შეეხება ამ სექტორში რეგისტრირებულ მცირე ზომის კერძო უცხოურ საკუთრებას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის მონაცემებით, სულ რეგისტრირებულია 692 სუბიექტი, რომელთაგან მხოლოდ 362-ს აქვს აქტიური სტატუსი (აღნიშნული მოიცავს როგორც ინდივიდუალურ მეწარმეს, ისე — შპს-ს).

აქტიური ბიზნეს სუბიექტების მხოლოდ 10%, 36 კომპანია ეკუთვნის რუსეთის მოქალაქეს. აღნიშნული ბიზნეს სუბიექტების აბსოლუტური უმრავლესობა რეგისტრირებულია 2022 წლის 24 თებერვლამდე, ანუ იქამდე, სანამ რუსეთი უკრაინაში ომს წამოიწყებდა და სანქციები დაუწესდებოდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2023 წლის იანვარ-თებერვალში სასაქონლო ექსპორტი რუსეთში გაზრდილია 38%-ით, სომხეთში კი — 197%-ით. აბსოლუტურ რიცხვებში ეს მონაცემები ასე გამოიყურება: მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში სომხეთში ექსპორტზე გასულია 133 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია, რაც ექსპორტის საერთო წილის 14,5%-ს შეადგენს, რუსეთში — 128 მილიონი დოლარის პროდუქცია, რაც მთლიანი ექსპორტის 14%-ია.

სომხეთი, რუსეთთან ერთად 2015 წლიდან არის ევრაზიული კავშირის წევრი. აღნიშნული კავშირის წევრებს საერთო ეკონომიკური საზღვრები და საბაჟო ტარიფები აქვთ, რაც წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ტვირთბრუნვას გულისხმობს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროდუქცია საქართველოდან ჯერ სომხეთში შედის და შემდეგ რეექსპორტით ხვდება რუსეთში. "რადიო თავისუფლება" წერს, რომ EBRD-ის ექსპერტების აზრით, სავაჭრო ტრენდებზე დაკვირვება უჩვენებს, რომ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში გაზრდილი ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება რუსეთისაკენ - და ამ კონტექსტში ხაზგასმულია საქართველოდან რუსეთში რეექსპორტი.

IDFI-მ ინფორმაცია რუსეთიდან საქართველოში შემოსული სატვირთო ტრანსპორტის სტატისტიკისა და მათ მიერ ქვეყანაში შემოტანილი პროდუქტის შესახებ შემოსავლების სამსახურიდანაც გამოითხოვა.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და რუსეთის ფედერაციიდან გამოგზავნილი სატვირთო მანქანებით საქართველოს საზღვარზე შემოსული და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცეული ტვირთის რაოდენობა ტონებში წლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



როგორც ცხრილიდან ჩანს, რუსეთში რეგისტრირებული სატვირთო ტრანსპორტით რუსეთიდან საქართველოს საზღვარზე შემოსული პროდუქტის რაოდენობა მკვეთრადაა გაზრდილი. მნიშვნელოვანია, რომ ორჯერაა გაზრდილი შემოტანილი მარცვლეული პროდუქტის რაოდენობა, რაც ასევე ყველაზე დიდ წილს იკავებს 2022 წელს შემოტანილი პროდუქტების რაოდენობაში (8,184 ტონა); თითქმის ორჯერაა გაზრდილი შემოტანილი ცხიმებისა და ზეთების რაოდენობაც (3,891.5 ტონა).

2022 წელს ყველაზე დიდი რაოდენობით შემოსული ძირითადი 5 პროდუქტი რიცხვებში (ტონებში) და მათი ზრდა 2020 წლიდან შემდეგნაირად გამოიყურება:

მარცვლეულის პროდუქცია



2022 წელი	**8,184.0**
2021 წელი	**4,062.5**
2020 წელი	**1,923.8**

ცხიმები და ზეთები



2022 წელი	**3,891.5**
2021 წელი	**2,221.8**
2020 წელი	**2,257.3**

კვების მრეწველობის ნაშთები



2022 წელი	**2,942.3**
2021 წელი	**186.4**
2020 წელი	**638.8**

კვლევის სხვადასხვა პროდუქტი



2022 წელი	**1,433.4**
2021 წელი	**600.9**
2020 წელი	**410.9**

მცენარეული ნაწარმი



2022 წელი	**1,166.1**
2021 წელი	**234**
2020 წელი	**446.9**

კომუნიკაციების სექტორი

2022 წლის მარტში გამოქვეყნებული პირველი კვლევის ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების სფეროში მომუშავე ისეთი კომპანიების გამოსავლენად, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობდნენ რუსეთის მოქალაქეები ან თავად რუსული კომპანიები, IDFI-მ გააანალიზა ამ ბაზრის ძირითადი მოთამაშეები. კერძოდ, კვლევა მოიცავდა კომუნიკაციების დარგის თითქმის ყველა ძირითად მიმართულებას — მობილურ ოპერატორებს, ფიქსირებულ სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებას, ასევე ჰოსტინგ ბაზარს. კერძოდ, კვლევამ მოიცვა საქართველოში მოქმედი ყველა (ხუთივე) მობილური ოპერატორი, ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარზე მომუშავე 13 კომპანია, რომელიც ემსახურება, სულ მცირე, 1000-ზე მეტ აბონენტს მაინც, ფიქსირებულ ინტერნეტბაზარზე მომუშავე 8 კომპანია, რომელიც ფლობს ბაზრის, სულ მცირე, 1%-ს მაინც და საქართველოში მოქმედი 10 ყველაზე მსხვილი ჰოსტინგ პროვაიდერი, რომელიც ბაზრის ძირითადი მოთამაშეა.

მობილური ოპერატორები

კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციით, 2022 წლის მარტში საქართველოში სულ 5 მობილური ოპერატორი მუშაობდა — „მაგთიკომი", "სილქნეტი", "ვიონი საქართველო", "ეკლეკტიკი" და "გლობალ სელი". 2021 წლის 21 სექტემბრის მონაცემებით, მობილურ ოპერატორებს ჯამში 5,142,263 მომხმარებელი ჰყავდათ, ხოლო 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, მათი რიცხვი 5,364,588-მდე გაიზარდა. "ეკლეკტიკს" საერთო რაოდენობიდან 4,829 აბონენტი ეკუთვნის, ხოლო "გლობალ სელს" - მხოლოდ 38. რაც შეეხება ბაზრის მთავარ 3 მოთამაშეს, მათი წილები ასე ნაწილდება: "მაგთიკომი" - 41,7%; "სილქნეტი" - 33,4%; "ვიონი საქართველო" - 24,8%.

"ვიონი საქართველო"

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ვიონი საქართველო" საქართველოში 2007 წელს „მობიტელის" სახელით შემოვიდა და დაფუძნდა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინის" ბრენდით.

„მობიტელი" რუსული „ვიმპელკომ ჯგუფის" წევრი იყო. 2017 წლის დასაწყისში „ვიმპელკომ ჯგუფის" რებრენდინგი განხორციელდა, რის შემდეგაც მას „ვიონი" (Veon) დაერქვა. 2017 წელსვე შეიცვალა „მობიტელის" სახელი და ის „ვიონი საქართველო" გახდა.

„ვიონის" ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ კომპანია 680 მილიონ მომხმარებელს 9 ქვეყანაში (რუსეთში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, პაკისტანში, ალჟირსა და ბანგლადეშში) სთავაზობს ფიჭური კომუნიკაციების ბრენდებს, სატელევიზიო არხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისს. მობილური ოპერატორების ბაზარზე მოქმედი ოპერატორის, „ბილაინის" (ვიონი საქართველო) ბენეფიციარი მფლობელი 2022 წლის მაისამდე იყო სანქცირებული ოლიგარქი მიხაილ ფრიდმანი. 2022 წლის 28 თებერვალს, მიხაილ ფრიდმანი ევროკავშირის მიერ სანქცირებულთა სიაში მოხვდა იმ მიზეზით, რომ იგი, ერთი მხრივ, აქტიურ მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევდა და სარგებელს იღებდა იმ რუსი პირებისგან, რომლებიც ყირიმის ანექსიისა და უკრაინის დესტაბილიზაციაზე იყვნენ პასუხისმგებლები.

2022-ის მაისში ცნობილი გახდა, რომ „ვიონი საქართველოს" 100%-იან წილი ბიზნესმენმა ხვიჩა მაქაცარიამ შეიძინა. თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, „ვიონი საქართველოს" ოფიციალური მფლობელები ამ დრომდე არიან ოფშორული კომპანიები - „ვოთერთრეილ ინდასტრიზ" (Watertrial Industries Ltd) (71%), „ინვესტიკო ალიანს" (Investico Alliance) (29%). შესაბამისად, სავარაუდოა, რომ გარიგება ოფშორულ ზონაში შედგა და მისი გადამოწმება საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტური წყაროებით ამ ეტაპზე შეუძლებელია.

„ვიონი საქართველომ" 2023 წლის აპრილში რებრენდიგი ჩაატარა და მომხმარებელს „ბილაინის" ნაცვლად „სელფი მობაილის" სახელით მოემსახურება.



ფიქსირებული ტელეფონი და ინტერნეტი

ფიქსირებული სატელეფონო ბაზარი საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. კომუნიკაციების კომისიის მონაცემებით, 2019 წლის იანვარში ფიქსირებული ტელეფონის მომხმარებელთა რიცხვი 570 ათასს აჭარბებდა. ხოლო 2021 წლის ნოემბრის მონაცემებით, მათი რაოდენობა მხოლოდ 341,742-ს შეადგენდა. შესაბამისად, ამ სექტორის შემოსავლები მცირდება. 2019 წლის იანვარში ამ ბაზრის მთლიანი შემოსავალი, დაახლოებით, 2,8 მილიონი ლარი იყო (იმ დროისთვის, დაახლოებით, 1 მილიონი აშშ დოლარი), რაც 2021 წლის ნოემბრისთვის 1,9 მილიონ ლარამდე (დაახლოებით, $600 ათასი) შემცირდა; აღნიშნულმა მონაცემმა 2023 წლის იანვარში 1,6 მილიონ ლარამდე შეადგინა (კლება წინა წელთან შედარებით, დაახლოებით, 300 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები პირდაპირ ეხება ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარს, რომელიც გამოითვლება ინტერნეტბაზრისგან დამოუკიდებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ როგორც ინტერნეტსერვისებს, ასევე ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას.

ბაზარზე მეორე მსხვილი კომპანია არის „ახალი ქსელები“, რომელიც ფიქსირებული სატელეფონო ბაზრის 22,78%-ს (79,291 აბონენტი) აკონტროლებს. იგივე კომპანია ფიქსირებული ინტერნეტბაზრის 4,7% ფლობს და საქართველოს მასშტაბით ემსახურება 45,599 აბონენტს. 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით, ფიქსირებული ინტერნეტბაზარი საქართველოში 970,067 აბონენტს მოიცავს. ფიქსირებულ სატელეფონო და ინტერნეტბაზარზე მომუშავე ძირითად კომპანიებს, გარდა „ახალი ქსელებისა“, არ უფიქსირდებათ მფლობელი, რომელიც შეიძლება იყოს რუსული კომპანია, რუსეთის მოქალაქე ან მასთან დაკავშირებული პირი.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ორმაგი მოქალაქე, ფრიდონ ინჯია 1992-1998 წლებში იყო საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი. ახლა ის, ოჯახთან ერთად, ფლობს სატელეფონო და ინტერნეტსერვისების რამდენიმე კომპანიას. ფრიდონ ინჯია ასევე იყო პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი 2000-2004 წლებში, თანამდებობას „ლეიბორისტული პარტიის“ პარტიული სიით იკავებდა. მოგვიანებით, იგი ასევე იყო თბილისის 2017-2021 წლების მოწვევის საკრებულოს წევრი „პატრიოტთა ალიანსიდან“. ფრიდონ ინჯიამ 2015-2020 წლებში „პატრიოტთა ალიანსს“ 118,400 ლარი შესწირა. 2021 წელს მან 25 ათასი ლარი შესწირა „ევროპელ სოციალისტებს“, 2014 წელს კი 50 ათასი ლარი „ქრისტიან დემოკრატიულ“ მოძრაობას. 2014 წელს “პატრიოტთა ალიანსს” ინჯიას მეუღლემ - ლალი რუხაიამაც 14,970 ლარი შესწირა.

ინჯიას ტელეკომუნიკაციების ბიზნესში შესვლა მთავრობაში მისი ყოფნის პერიოდს ემთხვევა. 2001 წელს პროკურატურამ მას თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში 14 მლნ დოლარის გაფლანგვაში დასდო ბრალი, მაგრამ პარლამენტმა ინჯიას იმუნიტეტი არ მოუხსნა და საქმე დაიხურა (წყარო: “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”). ფრიდონ ინჯია არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, რომელიც პარლამენტში პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ სიით მოხვდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე ფრიდონ ინჯიამ „პატრიოტთა ალიანსი“ პარტიის სხვა წევრებთან ერთად დატოვა და საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“ დააფუძნა. ზემოხსენებული პოლიტიკური სუბიექტი საჯაროდ ანტიდასავლური და “ნატოს” მიმართ სკეპტიკური განცხადებებით პოზიციონირებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას.

ფრიდონ ინჯიას კომპანიები კომუნიკაციებში:

- "ახალი ქსელები"
- "სისტემ ნეტი"
- "ფოპნეტი"
- CGC

"ახალი ქსელებისა" და CGC-ის მეშვეობით, ფრიდონ ინჯია აკონტროლებს ფიქსირებული სატელეფონო ბაზრის 25,19 %-ს. 2021 წლის ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 341,742 ადამიანი იყენებდა ამ სერვისს საქართველოში. ინჯიას კომპანიები ფიქსირებული ინტერნეტბაზრის 6,2% იკავებს (საერთო ჯამში, ამ ბაზარზე სულ 970,067 აბონენტია). „სისტემ ნეტი" და „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპნეტი" საბითუმო ბაზარზე ოპერირებენ.

„ახალი ქსელები" ქართულ ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარზე სიდიდით მეორე კომპანიაა, რომელიც ბაზრის 22,78%-ს აკონტროლებს. „ახალი ქსელები" ასევე აკონტროლებს ფიქსირებული ინტერნეტბაზრის 4,7%-ს. კომპანია ინტერნეტმომსახურებას უწევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ 45 ათასზე მეტ აბონენტს. კომპანიის აქციები ახალ ქსელებში ნაწილდება შემდეგნაირად: ფრიდონ ინჯია - 46,238%; LTD System Net - 10%; ავთანდილ იაშვილი - 33,177% (ინჯიას ბიზნესპარტნიორი); 10% აქციების მფლობელია 6 სხვადასხვა პირი. ფრიდონ ინჯია და მისი ოჯახი ფლობს შპს „სისტემ ნეტის" (LTD System Net) 49,89%-ს. კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან:

- ილია ინჯია (ფრიდონ ინჯიას შვილი) - **24,709%;**
- ხათუნა ინჯია (ფრიდონ ინჯიას შვილი) - **5,714%;**
- ფრიდონ ინჯია - **15,318%;**
- ლალი რუხაია (ფრიდონ ინჯიას მეუღლე) - **4,149%;**
- ავთანდილ იაშვილი (ინჯიას ბიზნესპარტნიორი) - **29,349%**
- აქციების **20%-ს** 11 სხვა პირი ფლობს.

თავის მხრივ, „სისტემ ნეტი" ფლობს კომპანია „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" (GGC) წილების 49%-ს.

CGC რუსთავის მოსახლეობას ინტერნეტ, სატელევიზიო და ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას უწევს. მისი ჯამური წილი ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარზე 2,49%-ია (8,517 მომხმარებელი). გარდა ამისა, ის ფლობს ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის 1,4%-ს (13,865 აბონენტი). ამ კომპანიის აქციონერები არიან:

- "სისტემ ნეტი" – **49,89%**
- შპს "ჯენერი" – **13%**
- Monemvasia Shipping & Trading Company – **13%**
- COSMOTE ტექნიკური მომსახურება (საბერძნეთი) – **25%**

ფრიდონ ინჯიას მეუღლეს, ლალი რუხაიას აქვს ორმაგი მოქალაქეობა რუსეთსა და საქართველოში და არის „ახალი ქსელების" ფრიდონ ინჯიას წილების მმართველი. ლალი რუხაია ასევე არის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ფრიდონ ინჯიას შვილს, ილია ინჯიასაც რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ილია ინჯია და ლალი რუხაია არიან მენეჯერულ პოზიციებზე ფრიდონ ინჯიას სხვა კომპანიებშიც.

ფრიდონ ინჯიას ინტერესები საკომუნიკაციო ბიზნესში არ შემოიფარგლება მხოლოდ „ახალი ქსელებისა" და „სისტემ ნეტის" ფლობით. ფრიდონ ინჯიას საკუთრებაშია შპს "ფოპნეტი". კომპანიის მფლობელები არიან: „სისტემ ნეტი" (ინჯიას კომპანია) - 50%; ფრიდონ ინჯია - 22,3%; ილია ინჯია - 3%; ავთანდილ იაშვილი - 14,3%; აქციების 10%-ს 4 სხვა ადამიანი ფლობს.

„ფოპნეტის" ოფიციალური ვებგვერდიდან ირკვევა, რომ კომპანია მომსახურებას ახორციელებს საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით.

საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან - ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდისა და ბათუმის მიმართულებით. კომპანია საერთაშორისო არხებით მომსახურებას ახორციელებს თბილისიდან - რუსეთის, დსთ–ს, ევროპისა და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ–ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან.

საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან - ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდისა და ბათუმის მიმართულებით. კომპანია საერთაშორისო არხებით მომსახურებას ახორციელებს თბილისიდან - რუსეთის, დსთ–ს, ევროპისა და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ–ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან. „ფოპნეტი“ ფლობს ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს. „ფოპნეტის“ ვებგვერდის მიხედვით, მისი პარტნიორია რუსული კომპანია „ვესტელკომი“, რომელიც, თავის მხრივ, რუსული საკომუნიკაციო კომპანია „როსტელეკომის" შვილობილი კომპანიაა.

ჩანართი 2:
ინჯიას კავშირები ბიზნესსა და პოლიტიკაში



სამაუწყებლო კომპანიები

- ტელეკომპანია "რ.ბ.ჯ." (R.B.G.)

"რ.ბ.ჯ."(405085740) - 2015 წელს დარეგისტრირდა. მფლობელები რუსეთის მოქალაქე ოლგა მილიევა (90%) და საქართველოს მოქალაქე ირაკლი ადამია არიან (10%). ტელევიზია ბაზარზე „1 გასართობი არხის“ სახელითაა ცნობილი და ეთერში, ძირითადად, რუსეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის (ORT) გადაცემების ქართულ თარგმანს უშვებს. ვებგვერდის მიხედვით[3], მისი კონცეფცია მოიცავს „საოჯახო ტელევიზიის ტრადიციულ ღირებულებებს და გათვლილია ყველა ასაკისა და სოციალური ფენის მოსახლეობისთვის“. ტელეკომპანია ეთერში უშვებს შემეცნებით-გასართობ გადაცემებს: იუმორისტულ, საბავშვო, მუსიკალურ, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს.



"პირველი გასართობი არხის" ვებგვერდი (2023 წლის აპრილის მდგომარეობით აღარ იძებნება)

კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მონაცემებით, ტელეკომპანიის ჯამური შემოსავალი 2020 წელს 582,752 ლარი იყო, 2021 წელს - 620 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის პირველ კვარტალში - 120,000 ლარამდე. კომპანიის ვებგვერდზე (ბოლოს, სავარაუდოდ, 2018 წლის განახლებით) აღნიშნული იყო, რომ არხის დაფინანსება: "კერძო-სამართლებრივი გარიგებიდან შემოსული თანხები და დამფუძნებლების მიერ შენატანი (სესხია)".

2015 წელს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ ჩატარებული კვლევით, ORT საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული უცხოენოვანი არხი იყო. 2015 წლის შემდეგ კომისიას კვლევა აღარ ჩაუტარებია.

[3] ვებგვერდზე შესვლა შესაძლებელი იყო 2022 წელს, 2023 წლის აპრილში ვებგვერდი აღარ იძებნება.

საქართველოში სატელევიზიო რეიტინგს ორი კომპანია ზომავს — TV MR Georgia და Tri Media Intelligence. აღნიშნული კომპანიები ზომავენ მხოლოდ დამკვეთისთვის სასურველი ტელეარხების რეიტინგს. მაგალითად, TV MR Georgia ზომავს მხოლოდ საქართველოში მოქმედი 13 ტელეარხის რეიტინგს, რომელთა შორის არ არის "რ.ბ.ჯ.", შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული ტელეარხის რეიტინგის დადგენა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით.

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოში მოქმედი მაუწყებლები ვალდებულები არიან, კომუნიკაციების კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი შემოსავლების შესახებ, რომელთა რაოდენობაც აღემატება 7 ათას ლარს (დაახლოებით $2,800).

აღნიშნულ ინფორმაციას კომუნიკაციების კომისია საჯაროდ აქვეყნებს თავის ვებგვერდზე. იმის გამო, რომ ეს მონაცემები ამ დრომდე არ არის გამოქვეყნებული, IDFI-მ კვლევის ფარგლებში მიმართა კომუნიკაციის კომისიას. მათგან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია "რ.ბ.ჯ."-ის ფინანსების წყაროების შესახებ. კომუნიკაციების კომისიამ ოფიციალურ პასუხად მოიწერა, რომ მათ მაუწყებლებისგან შემოსავლების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ მიუღიათ და როგორც კი ამ ინფორმაციას მიიღებენ, გამოაქვეყნებენ თავიანთ ვებგვერდზე.

საბანკო სექტორი

კვლევის ფარგლებში შესწავლილია საქართველოში რეგისტრირებული 15 კომერციული ბანკი. მათგან მხოლოდ „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" („ვითიბი ბანკი") ფლობდა რუსული კომპანია „ვეტებე ბანკი" (Vetebe Bank). 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საკუთარი კაპიტალის მიხედვით, საქართველოს მთლიანი საბანკო ბაზრის 77% ორ უმსხვილეს ბანკს ეკუთვნის. მთელი სექტორი კი შემდეგნაირადაა განაწილებული[4]:

- თიბისი ბანკი" - **42%**
- "საქართველოს ბანკი" - **35%**
- დანარჩენი 12 ბანკი - **23 %**

„ვითიბი ბანკი" ყოფილი „გაერთიანებული ქართული ბანკია". ეროვნული ბანკისთვის 2021 წელს წარდგენილი მონაცემებით, „ვითიბი ბანკის" 97,38%-ს ფლობდა რუსული „ვეტებე ბანკი", 1,47%-ს კი შპს „ლაკარპა ენტერპრაიზის ლიმიტედი". ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრე არის რუსეთის ფედერაცია 59,34%-ით.

„ვითიბი ბანკი" ყოფილი „გაერთიანებული ქართული ბანკია". ეროვნული ბანკისთვის 2021 წელს წარდგენილი მონაცემებით, „ვითიბი ბანკის" 97,38%-ს ფლობდა რუსული „ვეტებე ბანკი", 1,47%-ს კი შპს „ლაკარპა ენტერპრაიზის ლიმიტედი". ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრე არის რუსეთის ფედერაცია 59,34%-ით.

რუსული „ვეტებე ბანკი" რამდენიმე ათეულ საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციას ფლობს ევროპისა და აზიის ქვეყნებში. საქართველოში არსებული „ვითიბი ბანკი ჯორჯიაც" მათ შორისაა. „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციები რუსულმა ვითიბიმ 2005 წელს შეიძინა. კომპანიის რებრენდინგი 2006 წლის დეკემბერში განხორციელდა, შეიცვალა სახელწოდება და „ვითიბი ბანკი" ეწოდა.

[4] ეს მონაცემები დაანგარიშებულია თავად ბანკების მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების მიხედვით. 2022 წლის შემაჯამებელი ანგარიში ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ბანკს სანქციები დაუწესდა, რუსული „ვითიბი ბანკის“ შვილობილმა ქართულმა ბანკმა 2022 წლის ზაფხულში ფუნქციონირება შეწყვიტა. სანქციების დაწესებიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ არსებული სასესხო და სადეპოზიტო პორტფელი „ბაზისბანკმა“ შეიძინა. ბანკმა ეს გადაწყვეტილება საკუთარი დეპოზიტარებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვით ახსნა.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ განვითარებული პროცესები საქართველოს საბანკო სექტორში არ შემოიფარგლება მხოლოდ “ვითიბი ბანკის” სანქცირებით და მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს თითოეული ბანკის საქმიანობაზე.

ერთი მხრივ, საქართველოს საფინანსო სექტორი, როგორც გლობალური საფინანსო სისტემის ნაწილი, შეუერთდა რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებულ საერთაშორისო ფინანსურ სანქციებს და საბანკო სექტორს შეეზღუდა სანქცირებული ოპერაციების განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის მოქალაქეების მიგრაციამ, რუსეთთან გაზრდილმა სავაჭრო ბრუნვამ თუ ფულადმა გზავნილებმა ხელი შეუწყო საბანკო სექტორის ოპერაციების ზრდას. მაგალითად, ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს კომერციულ ბანკებში ანგარიში გახსნა რუსეთის 109,9 ათასმა მოქალაქემ. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომერციულ ბანკებში ანგარიში გახსნილი ჰქონდა რუსეთის 161,032 მოქალაქეს (ფიზიკურ პირს) და 55 იურიდიულ პირს.

რუსეთის მოქალაქეების საქართველოში აქტიური შემოსვლისა და საბანკო ანგარიშების გახსნის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციულ ბანკებში მათ მიერ განთავსებული დეპოზიტების მაჩვენებელი. კერძოდ, როგორც ირკვევა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები შეადგენს 2,87 მილიარდ ლარს, რაც 2,16 მილიარდი ლარით აღემატება ომის დაწყებამდე არსებულ (2022 იანვრის) მაჩვენებელს. შესაბამისად, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტებზე განთავსებული თანხების ნაშთი, ომამდე პერიოდთან შედარებით, დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა.

რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები
(ნაშთი, მილიარდი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია

სასარგებლო წიაღისეული და მინერალური წყლები

სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების სექტორში სულ შესწავლილია 3,069 ლიცენზიის მფლობელი კომპანია. კომპანიების ყველა მონაცემი დამუშავდა საკუთრების, აქციონერებისა და მენეჯერული კავშირების მიხედვით. რუსულ ბიზნესთან კავშირების იდენტიფიცირების შემდეგ (მოქალაქეობის ან/და კუთვნილების მიხედვით) შემოწმდა 120-ზე მეტი კომპანიისა და ფიზიკური პირის საქმიანობა. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ასახავს კვლევის მიზნების რელევანტურ შემთხვევებს.

იდენტიფიცირებული კომპანიებიდან ზოგიერთი რუსეთის ან რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების საკუთრებაა. მათგან გამოვყოფთ და საგანგებოდ მიმოვიხილავთ რამდენიმეს, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა პოლიტიკური კავშირების, გავლენიანი სახელებისა (ძირითადად რუსულ, მაგრამ ასევე ქართულ კონტექსტში) და პოლიტიკური შემოწირულებების მხრივ.

შპს RMG (RICH METALS GROUP)

კომპანია ოქროს მოპოვების ლიცენზიით 2014-2042 წლებში. კომპანიას, რომლის სახელთან არის დაკავშირებული საყდრისის ძეგლის ეროვნული მემკვიდრეობის სტატუსის მოხსნა ოქროს მოპოვების მიზნით, რომელსაც შემდგომ მოჰყვა საყდრისის ძეგლის აფეთქება და განადგურება, ფლობს RMG Copper-სა (3,79%) და Mining Investments LLC-ს (96,21%). კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა რუსეთის მოქალაქე დიმიტრი ტროიცკი, თავმჯდომარის მოადგილე - რუსეთის მოქალაქე დიმიტრი კორჟევი. RMG Gold-ის მიერ გამოქვეყნებული 2020 წლის ფინანსური აუდიტის დოკუმენტების მიხედვით, შპს „მაინინგ ინვესთმენსის" კომპანიაა Eulachon Limited, ხოლო მისი ბენეფიციარი მფლობელი დიმიტრი ტროიცკია. ეს დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ კომპანიის საერთო შემოსავალი 2020 წელს მოიცავდა 371,154,000 ლარს, 2021 წლის მონაცემებით, შემოსავალი შემცირდა და 289,297,000 ლარი შეადგინა. 2020 წელს შემოსავლებიდან 278,646,000 ლარი შეადგენდა ოქროს გაყიდვებიდან მიღებულ თანხას, 2021 წელს აღნიშნულმა წილმა 203,627,000 ლარი შეადგინა.

Forbes-ის ბოლო, 2017 წლის მონაცემებით, დიმიტრი ტროიცკი 184-ე ადგილზე იყო უმდიდრეს რუს ბიზნესმენებს შორის. 1993 წლიდან ის მეგობარ დიმიტრი კორჟევთან ერთად რუსეთში ბიზნესსაქმიანობას აქტიურად ახორციელებს.

ოქროს გარდა, RMG Gold და RMG Copper ასევე ფლობენ 6 დამატებით ლიცენზიას სხვადასხვა მინერალზე, მათ შორის - კვარცი, მინერალური წყლები და ხრეში. გარდა ამისა, RMG Gold-თან აფილირებული კიდევ ერთი კომპანია, შპს RMG Auramine ფლობს ოქროსა (2016-2041) და მტკნარი წყლის (2019-2039) ლიცენზიებს. კომპანიის მიერ გამოქვეყნებული აუდიტის დოკუმენტების მიხედვით, 2019 წლის სექტემბრიდან მისი ძირითადი საქმიანობაა ოქროს, თუთიის, ტყვიისა და სპილენძის შემცველი წიაღისეულის მოპოვება. შემდეგ მთელი მარაგი იყიდება RMG Copper-ზე. კომპანიას 2020 წელს გაყიდული მარაგებიდან ჯამური შემოსავალი 50,099,000 ლარი ჰქონდა. შპს RMG Auramine ეკუთვნის შპს „კავკასიან მაინინგ ჯგუფს", რომელიც, თავის მხრივ, კვიპროსში რეგისტრირებული Pamtilon Holdings Limited-ის კუთვნილებაა. ამ უკანასკნელის ბენეფიციარი მფლობელები არ სახელდება. შპს RMG Auramine-ის გენერალური დირექტორი იყო თორნიკე ლიპარტია, რომელიც იმავე თანამდებობას იკავებდა RMG Gold-ში, 2022 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულ თანამდებობაზე ორივე კომპანიაში ჯონდო შუბითიძეა. RMG Auramine-ის მშობელი კომპანია შპს "კავკასიან მაინინგ ჯგუფია", მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან დიმიტრი კორჟევი, რომელიც იკავებს იმავე თანამდებობას RMG Gold-ში; კახაბერ მჭედლიშვილი, რომელიც იკავებს იმავე თანამდებობას შპს „მაინინგ ინვესთმენთსში" (RMG Gold-ის დედა კომპანია).

IDFI-ის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, გამოვლინდა არაერთი პირი, რომელიც RMG Gold-ში სხვადასხვა პოზიციაზე იყო დასაქმებული და მმართველ პოლიტიკურ პარტიას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჯამში 800,000 ლარი შესწირა.

2015 წლის აპრილში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში გარემოზე ზემოქმედების შესახებ, რომელშიც ასევე მოხსენიებულია RMG Gold. დასკვნაში ნათქვამია, რომ კომპანიის ქმედებებმა, რომელიც ეკოლოგიური ექსპერტიზის სათანადო გადაწყვეტილების გარეშე მიმდინარეობდა, გამოიწვია მადნის გაჟონვის შედეგად ნიადაგის დაბინძურება/დეგრადაცია, გარემოს 29,153,880 ლარის ღირებულების ზიანი მიაყენა. ამავე ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ RMG Copper-ის მიერ მდინარე კაზრეთულაში ღია მჟავე წყლის ჩასხმამ გარემოს 1,078,188 ლარის ოდენობის ზიანი მიაყენა.

შპს „კაპიტალ ჯგუფი“

შპს „კაპიტალ ჯგუფის“ - (ოქროს მოპოვების ლიცენზიით 01.08.19 - 01.06.44 ვადით) - 50%-იანი წილი 2022 წლის მარტის მდგომარეობით საქართველოსა და რუსეთის ორმაგ მოქალაქე ფრიდონ ქათამაძეს ეკუთვნოდა, თუმცა ამ წელს წილები ორჯერ შეიცვალა, რის შემდეგაც ქათამაძე 87,5%-ის მესაკუთრე გახდა. ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროექტთან, რომელიც ითვალისწინებდა ხელოვნური კუნძულის მშენებლობას ბათუმის ცენტრში; ის არის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის - შპს „ამბასადორი - ბათუმის კუნძულის“ (Ambassadori Batumi Island) დირექტორი. კომპანიის მფლობელები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია “ბათუმი აილენდ” (18%), და საქართველოსა და რუსეთის ორმაგ მოქალაქე ელგუჯა ქებურია (82%); თავად შპს “ბათუმი აილენდის” 100%-იანი წილის მფლობელი და, შესაბამისად, „ამბასადორი - ბათუმის კუნძულის“ 18%-იანი წილის საბოლოო მესაკუთრე ფრიდონ ქათამაძეა.

2022 წლის მარტის მონაცემებით, „ამბასადორი - ბათუმის კუნძულის“ 82%-იანი წილი ეკუთვნოდა LLC Property Assets Investment LTD-ს, რომელიც რეგისტრირებული იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე და მისი ბენეფიციარი მფლობელები არ სახელდებოდნენ. 2023 წლის 6 იანვრის ცვლილებებით კი, აღნიშნული წილი ელგუჯა ქებურიამ 5 მილიონ ევროდ შეისყიდა. თავად ქებურია “ამბსადორი ჯგუფის”, “ამბასადორი ბათუმის”, “კლუბი ამბასადორის”, “ამბასადორი ბათუმი აილენდის”, “ელიტ სქიი რეზორტისა” და “აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის” მეწილეა. ტერიტორია, სადაც კუნძული უნდა აშენდეს (90 ჰა), მთავრობამ პირდაპირ კომპანიას გადასცა.

2022 წლის ივლისში მთავრობის დადგენილებით პროექტს “განსაკუთრებული ობიექტის” სტატუსი მიანიჭა, ხოლო ამავე წლის სექტემბერში პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც აღინიშნა, რომ მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემულია. “ბათუმელების” ინფორმაციით კი, გარემოზე ზემოქმედების დასკვნა ჯერ ოფიციალურად არ არსებობს. 2019 წლის აგვისტომდე “კაპიტალ ჯგუფს” სხვა მესაკუთრე ჰყავდა, რომელმაც ოქროს მოპოვების ლიცენზია 2019 წლის მაისში 788,305 ლარად შეიძინა. 2019 წლის 14 აგვისტოს კომპანიის აქციები ძველმა მესაკუთრემ ფრიდონ ქათამაძესა და მის პარტნიორს უსასყიდლოდ გადასცა.

შპს “მეგა ჰოლდინგი” (თბილცემენტ ჯგუფი)

შპს „მეგა ჰოლდინგი” (ყოფილი სახელწოდებით „თბილცემენტ ჯგუფი“) - (ხრეშის მოპოვების ლიცენზიით 2020-2025 წლებში)) - არის ბეტონის მწარმოებელი და სამშენებლო კომპანიების ჰოლდინგი. ქარხანა მცხეთაში, ზაჰესში მდებარეობს და მისი ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, საათში 120 კუბურ მეტრ ბეტონსა და 14 ტონაზე მეტ ცემენტს აწარმოებს. კომპანიას ფლობენ ვაჟა მანაშეროვი (17%), რუსუდან წითლანაძე (19,6%), მიხეილ დათიკაშვილი (12,25%), გიორგი ნონიკაშვილი (1,15%) და შპს „ივერია პრო” (50%). ორი ქართველი აქციონერი, ვაჟა მანაშეროვი და გიორგი ნონიკაშვილი, ამავე დროს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან.

2022 წლის მარტის მდგომარეობით, “მეგა ჰოლდინგის” („თბილცემენტ ჯგუფი“) მეწილე იყო შპს „ივერია პრო“ (50%), რომელიც, თავის მხრივ, შპს „ივერია ინვესტს“ (100%) ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელის მეწილეები კი იყვნენ რუსული კომპანია Ost InterTrade Ltd. (20%) და ლიეტუვური კომპანია LIS Group (10%), ასევე რუსეთის მოქალაქე - ნადეჟდა ობიტოცკაია (19%). აღნიშნული ორი იურიდიული პირისა და ნადეჟდა ობიტოცკაიას სარეგისტრაციო მისამართები იდენტურია.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ივერია პროს“ წილი (50%) მეგა ჰოლდინგში 1 ლარად შეიძინა ამავე კომპანიის ბენეფიციარმა მესაკუთრე „ლის ჯგუფმა“.

სხვა მეწილეების შემთხვევაში, პოლიტიკური აქტივობა გამოიხატება პარტიული შემოწირულებებით: 2017 წელს, ვაჟა მანაშეროვმა და გიორგი ნონიკაშვილმა „ქართულ ოცნებას“ ფიზიკური პირებისთვის დასაშვები მაქსიმალური თანხა 60,000-60,000 ლარი შესწირეს.

ჩანართი 3:
კავშირები "მეგა ჰოლდინგის" ("თბილცემენტჯგუფის") გარშემო



შპს "მინერალური წყალი საირმე"

შპს „მინერალური წყალი საირმე" - (მტკნარი წყლის 3 ლიცენზიით (2010-2030), მიწისქვეშა მტკნარი წყლის (2011-2036) და გაზიანი მინერალური წყლის (2019-2031)) - 2022 წლის მარტის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქე იაკოვ გვიჩიას (100%) საკუთრებაში იყო. მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო გია გვიჩია, რომელსაც იმ დროს ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა. გვიჩია ყოველწლიურად სახელდება რუსეთის ტოპ მილიარდერების სიაში. ის ლუდსახარშებს ფლობდა პეტერბურგში და ამჟამად იქ მინის მწარმოებელი ქარხნის მფლობელია. 2023 წლის მარტის მონაცემებით, "მინერალური წყალი საირმეს" მეწილეები იაკოვ გვიჩიასთან ერთად გახდნენ გია და ხათუნა გვიჩიები. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ორივე მათგანი სენტ-კიტსი და ნევისის მოქალაქეები არიან. გია გვიჩიას და, ნანა გვიჩია, ამჟამად, პეტერბურგის ტურიზმის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას იკავებს.

ჩანართი 4:
შპს "მინერალური წყალი საირმე"
მინერალური წყლების მფლობელობა



შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო"

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო" მოიპოვებს და აწარმოებს მინერალურ და არაგაზირებულ წყლებს - ბორჯომი, ლიკანი, ასევე სასმელ წყალს - ბორჯომის წყაროები, ბაკურიანი. კომპანიის საკუთრებაშია ჩამომსხმელი ქარხნები: N1 და N3. „აიდიეს ბორჯომი საქართველო" ყოფილი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა". 2004 წელს ქართული კომპანიის ბაზაზე საერთაშორისო კომპანია IDS Borjomi International შეიქმნა ბადრი პატარკაციშვილის თანამფლობელობაში არსებული კომპანიის მიერ. 2013 წლის დასაწყისში პატარკაციშვილების ოჯახმა განაცხადა, რომ IDS Borjomi International-ის საკონტროლო პაკეტი რუსი მილიარდერის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილ უმსხვილეს საინვესტიციო კომპანია "ალფა ჯგუფს"-ს 300 მილიონ დოლარად მიჰყიდა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, "ბორჯომის" ოფიციალური სახელწოდებაა: შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო", რომლის დამფუძნებელია "აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი", რეგისტრირებული ნიდერლანდების ანტილის კუნძულებზე. აღნიშნული კომპანია ოფშორშია რეგისტრირებული, რაც ართულებს მისი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენას.

უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ „ბორჯომმა“ წარმოება შეაჩერა, მიზეზად კი საერთაშორისო სანქციები დაასახელა. „ბორჯომის“ გაჩერებამ დასაქმებულთა პროტესტი გამოიწვია, რასაც მალევე მოჰყვა 13 ივნისს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც კომპანია “ბორჯომის” აქციების ნაწილი სახელმწიფოს გადაეცა, თუმცა პრემიერ-მინისტრს არ დაუკონკრეტებია რამდენი აქციის მფლობელი გახდა სახელმწიფო.

მოგვიანებით გავრცელებული IDS BORJOMI International-ის განცხადებით გაირკვა, რომ კომპანიის მაკონტროლებელი აქციონერი (ფრიდმანი) საქართველოს მთავრობას გადასცემდა 7.73%-იან წილს. კომპანიას არ გაუვრცელებია ინფორმაცია, 7.73%-იანი წილის სახელმწიფოსთვის გადაცემის შემდეგ, როგორ განაწილდებოდა დარჩენილი წილები. თუმცა, კომპანიის განმარტებით, შეთანხმების შედეგად:

- ფრიდმანს აღარ ექნებოდა IDS BORJOMI International-ის მაკონტროლებელი ფუნქცია
- IDS BORJOMI International-ის დირექტორთა საბჭოში მაკონტროლებელი აქციონერის წარმომადგენლობა 8-დან 2 წევრამდე შემცირდებოდა
- IDS BORJOMI International-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი იქნებოდა

2022 წლის დეკემბერში, კომპანია „ბორჯომმა“ შეკითხვაზე, როგორ ექნებოდა ქართულ მხარეს მაკონტროლებელი ფუნქცია არასაკმარისი წილების არსებობის შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა კომპანიის ოფშორულ ზონაში რეგისტრაციის გამო, ვერ ხერხდება საბოლოო მფლობელებს შორის წილების გადანაწილების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება.

შესაბამისად ჯერჯერობით უცნობია, როგორ ასრულებს საქართველოს ხელისუფლება დაპირებას, „ბორჯომის“ ოპერირებაში პრობლემების აღმოფხვრის თაობაზე და უცნობია ისიც, რა გავლენა ექნება, ბრიტანეთში მიხაილ ფრიდმანზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უშუალოდ კომპანია „ბორჯომის“ საქმიანობაზე.

შპს “გრუზვინპრომი”

Gruzwinprom ფლობს მინერალური წყლების მოპოვების ლიცენზიას საქართველოში. კომპანიას ეკუთვნის სხვა კომპანია, სახელად Bolero & Company. თავის მხრივ, Bolero & Company არის საქართველოს უმსხვილესი სამრეწველო-სავაჭრო კომპანიათა ჯგუფის ნაწილი, რომელიც ასევე მოიცავს შპს „გრუზვინპრომს“, შპს „ჯორჯიან სფირითს”, შპს „უნივერსალ სფირითს“ და ტერმინალს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმმა (ICIJ) შეისწავლა, დაახლოებით, 12 მილიონი გაჟონილი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია, როგორც Pandora Papers. ICIJ აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა 1998-2016 წლებში დააარსა 12 კომპანია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე. Brightstone Finance, რომელიც მენეჯერული კომპანია Poti FIZ-ის მეწილეა, 12 კომპანიიდან ერთ-ერთია. ICIJ-ის ცნობით, ივანიშვილმა დააარსა Brightstone Finance საქართველოს თანაინვესტირების ფონდის გარკვეული პროექტების სავალო კაპიტალის დასაფინანსებლად. უფრო კონკრეტულად, Pandora Papers-ში ნათქვამია, რომ 2015 წელს დაარსებული Brightstone Finance არის საქართველოში დაფუძნებული „ევრაზია ინვესტის” მაკონტროლებელი მეწილე კომპანია, რომელიც რამდენიმე სხვა ფირმის მეშვეობით ფლობს მნიშვნელოვან წილებს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მომგებიანობა პირდაპირ კავშირშია ფოთის პორტში ტვირთბრუნვასთან.

Bolero & Co-ს ერთადერთი მფლობელია საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე ვახტანგ კარიჭაშვილი, რაც მას აქცევს Bolero & Co-ს მიერ დაარსებული ყველა კომპანიის ბენეფიციარ მფლობელად, Gruzwinprom-ის ჩათვლით. ზემოთ განხილული შემთხვევების მსგავსად, ამ კომპანიების თითქმის ყველა მენეჯერმა შემოწირულება გაიღო მმართველ პოლიტიკურ პარტიაში. გარდა ამისა, ვახტანგ კარიჭაშვილი ფლობს კომპანიას სახელად - Melikishvili Inn, ბიზნეს პარტნიორთან უჩა მამაცაშვილთან ერთად, რომელსაც აქვს რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა და ბიძინა ივანიშვილის ნათესავია. მეორე მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინფორმაციით, კარიჭაშვილის კომპანია, შპს „უნივერსალ სფირითსი“ იყო ერთ-ერთი იმ 10 კომპანიას შორის, ვინც 2020 წელს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებიდან ყველაზე მეტი თანხა, ჯამში 5,7 მილიონი ლარის ღირებულების 19 კონტრაქტი, მიიღო. აქედან 18 ხელშეკრულება გაფორმდა სახელმწიფო კომპანია „აკურასთან“

“უნივერსალ სფირითსი” 2015 წლიდან იღებს გამარტივებულ საჯარო კონტრაქტებს და მას მონაწილეობა საჯარო ტენდერებში არ მიუღია. 2023 წლის 6 თებერვალს გორში ოფიციალურად გაიხსნა სასტუმრო “გორი ინნ”, რომელიც ასევე ვახტანგ კარიჭაშვილს ეკუთვნის.

ჩანართი 5:
“გრუზვინპრომის” მფლობელობა და კავშირები



შპს “მიქსორი”

შპს „მიქსორის” მეწილეებს შორისაა ცეზარ ჩოჩელი (42,12%) და შპს „ქისთოუნ ინვესთმენთს” (15,75%), რომლის მფლობელიცაა თემურ ანჩაბაძე - ბიზნესმენი პეტერბურგიდან. ის არის რამდენიმე კომპანიის მფლობელი, რომელთა შორისაცაა - North European Gas Pipeline Logistics (ЛСЕГ). მათი ვებგვერდის მიხედვით, 17 წელზე მეტია ეს კომპანია მუშაობს რუსეთის სამრეწველო, ნავთობის, გაზისა და ენერგეტიკული კომპლექსის მსხვილ საწარმოებთან. ისინი საქართველოში მონაწილეობენ გაზსადენების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მასშტაბურ პროექტებში.

მათ ვებგვერდზე „ქისთოუნ ინვესთმენთს“ (Keystone Investments) არის ნახსენები, როგორც ბიზნეს ჯგუფის წევრი და დახასიათებულია, როგორც კომპანია, რომელიც მიიღებს მონაწილეობას South Stream პროექტში, რათა გაზარდოს რუსული ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდება და დამატებითი გაზის ტრანსპორტირება ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთის რეგიონებში.

შპს „ქისთოუნ ინვესთმენთსის” კიდევ ერთი აქციონერი იყო გიორგი პერტაია (10%), საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტი. მან წილი კომპანიაში 2023 წლის იანვარში დათმო და, შესაბამისად, აღარ მონაწილეობს მის საქმიანობაში[5]. 2018-2019 წლებში გიორგი პერტაია იყო „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. „ქართუ” ასოცირდება „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთან და ყოფილ თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან. მრავლისმომცველ რუკაზე „მიქსორის“ ძირითადი აქციონერი ირიბად არის დაკავშირებული “გაზპრომთან”, ისევე როგორც მისი ბიზნესპარტნიორები, რომლებიც დაკავშირებული არიან საქართველოს მმართველ პოლიტიკურ აქტორებთან.

ჩანართი 6:
შპს “მიქსორის” კავშირები



[5] 2022 წლის მარტში გამოქვეყნებულ კვლევაში მითითებული იყო შესაბამის პერიოდში არსებული წილობრივი მონაცემები, რომლის ცვლილებაც აისახა წინამდებარე კვლევაში.

საქართველოს ენერგობაზარზე არსებული ვითარება

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, ქვეყნის ენერგოსისტემა დაკავშირებულია რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემებთან. ელექტროენერგიით ვაჭრობის მოცულობის უდიდესი ნაწილი სწორედ პირველ ორ ქვეყანაზე მოდის. აღნიშნული ქვეყნებიდან იმპორტი ხორციელდება ზამთარში გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ექსპორტი - ზაფხულის თვეებში ბუნებრივი წყალუხვობისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის სიჭარბის გამო (სომხეთთან მიმოცვლა ხორციელდება შედარებით მცირე მოცულობით).

საქართველომ 2022 წელს მოიხმარა 14,8 მილიარდი კვტ/სთ ენერგია. სულ მოთხოვნა იყო 14,165 მილიარდ კვტ/სთ ენერგიაზე, საიდანაც დანაკარგი იყო 368,69 მლნ. კვტ/სთ ელექტროენერგია.

2022 წელს უცხოეთიდან საქართველოში სულ იმპორტირებული იყო 1,5 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგია. მათგან 1,265 მილიარდი კვტ/სთ რუსეთიდან, რაც მთლიანი იმპორტის 84%-ს შეადგენს. როგორც წესი, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის ელექტრომომარაგებას ხმარდება, სადაც საქართველოს დე-ფაქტო ადმინისტრაციული კონტროლი არ ხორციელდება. თუმცა, 2022 წლის ანგარიშში, რომელსაც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" რეგულარულად აქვეყნებს, დეტალურად არ არის ჩაშლილი, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის რა ნაწილი შევიდა დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე.

2021 წლის ანგარიშის მიხედვით კი, საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, რუსეთიდან შემოსული ელექტროენერგიის წილი საერთო იმპორტულ ელექტროენერგიაში იყო 25%. დანარჩენი მოდიოდა აზერბაიჯანსა (60%) და თურქეთზე (15%). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ 2021 წელს საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიიდან (დანაკარგების ჩათვლით) მხოლოდ 1,61%-ს შეადგენდა რუსეთიდან უშუალოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იმპორტირებული ენერგია (აფხაზეთის გამოკლებით).

ელექტროენერგია

„ინტერ რაო" საქართველოში ფლობს „თელასის" 75%-ს, „ხრამჰესი 1"-ს, „ხრამჰესი 2"-ს. გარდა ამისა, კომპანია მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი „ენგურჰესის" მართვაში. თუმცა მართვის პირობები საზოგადოებისთვის, ძირითადად, უცნობია და ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მცდელობისა და საჯარო ინფორმაციის არაერთხელ გამოთხოვის მიუხედავად, ამ ეტაპზე არ აღმოჩნდა შესაძლებელი. თავის მხრივ „თელასი" (2020 წლიდან „თელმიკო") არის საქართველოს დედაქალაქის ერთადერთი ენერგომიმწოდებელი, რომელიც ემსახურება 697,4 ათას აბონენტს.

შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია", იგივე „თელმიკო", 2020 წელს დაფუძნდა. 2021 წლის 1 ივლისიდან ის გახდა თბილისის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიმწოდებელი, რომელიც აბონენტებს „თელასის" ნაცვლად ემსახურება. „თელასის" ყველა მომხმარებელი ავტომატურად გახდა „თელმიკოს" აბონენტი. ცვლილების შემდეგ ელექტროგამანაწილებელი ინფრასტრუქტურა კვლავ „თელასის" მფლობელობაში დარჩა. როგორც „თელმიკომ" 2021 წელს განაცხადა, ელექტრომიმწოდებელი კომპანიის ცვლილება განპირობებულია ენერგოსექტორის მასშტაბური რეფორმით, რომლის ფარგლებშიც საქართველო ენერგეტიკული ბაზრის ევროპულ მოდელზე გადადის. „თელმიკოსა" და „თელასს", ფაქტობრივად, ერთი და იგივე მფლობელები ჰყავს. „თელმიკოს" 75,471%-ს ფლობს ნიდერლანდებში რეგისტრირებული „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი. ვი.", რომელიც იმავე რაოდენობის წილს ფლობს „თელასში". „თელმიკოს" წილის დარჩენილი 24,529%-ის მფლობელია შპს „ენერჯი კომპანი", რომლის 100%-ის მესაკუთრე ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარიაა.

ქართულ ენერგობაზარზე მნიშვნელოვანი კომპანიაა „საქრუსენერგო". ეს კომპანია ფლობს და აკონტროლებს ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის, იმ ხაზებს, რომლითაც საქართველო ელექტროენერგიას რუსეთიდან იღებს. სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს" 50% საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის, 50% კი რუსულ კომპანიას - Federal Grid Company of United Energy System/ «Федеральная сетевая компания Единой энергетической системы» (ПАО «ФСК ЕЭС»). „საქრუსენერგო" სწორედ ამ ორმა სუბიექტმა დააფუძნა 1996 წელს.

სს „ინტერ რაო“

საქართველოს ენერგობაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსულ კომპანია „ინტერ რაოს“ (ИНТЕР РАО ЕЭС), რომელიც ფლობს ჰესებს და, ამავდროულად, მონაწილეობს მათ მართვაში.

იგივე კომპანია პასუხისმგებელია საქართველოს დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებაზე. „ინტერ რაო“ საქმიანობდა მრავალ ქვეყანაში, თუმცა აღნიშნული ბალანსი შეიცვალა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. აღნიშნული სააქციო საზოგადოების ძირითადი აქციონერები რუსული სახელმწიფო ენერგოკომპანიები არიან. კერძოდ: აქციების 27,63%-ის მფლობელია სახელმწიფო კომპანია „როსნეფტგაზი“, 29,56%-ს ფლობს „ინტერ რაო კაპიტალი“, 8,57%-ს — Rosseti FGC UES, რომელიც არის რუსეთის ელექტროგადამცემი ხაზების ერთადერთი მფლობელი. „ინტერ რაოს“ აქციების დარჩენილი 34,24% თავისუფალ მიმოქცევაშია.

„ინტერ რაოს“ გენერალური დირექტორია ბორის კოვალჩუკი. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთა შორის არიან რუსეთის მმართველი ელიტის წარმომადგენლები ან მასთან დაახლოებული პირები. სამეთვალყურეო საბჭოს 11 წევრიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სანქცირებულია 4: იგორ სეჩინი, დმიტრი შუგაევი, ანატოლი გავრილენკო, ბორის კოვალჩუკი. საბჭოს დანარჩენ წევრებს დასავლური სანქციები ჯერ არ შეხებიათ. ესენი არიან: ბორის აიუევი, ანდრეი ბუგროვი, ალეკსანდრ ლოკშინი, ვლადიმირ მილოვიდოვი, ანდრეი მუროვი, რონ პოლეტი, ელენა საპოჟნიკოვა (სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 2022 წლის 30 მარტის მდგომარეობით).

„ინტერ რაო“ საქართველოში ფლობს „თელასის“ 75%-ს, „ხრამჰესი 1-ს“, „ხრამჰესი 2-ს“. გარდა ამისა, კომპანია მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ენგურჰესის მართვაში.

თუმცა მართვის პირობები საზოგადოებისთვის, ძირითადად, უცნობია და ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მცდელობისა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, ამ ეტაპზე არ აღმოჩნდა შესაძლებელი. სტუდია „მონიტორის” სიუჟეტის მიხედვით, 2007 წელს ხელისუფლებამ „ინტერ რაო”-ს „თელასი” და ჰესები იმ პირობით მიჰყიდა, რომ კომპანიას საქართველოში 2025 წლამდე ახალი ობიექტები (მდინარე ხრამზე სამი ახალი ჰესი) აეშენებინა, რისი მიზანიც ელექტროენერგიის იმპორტის შემცირება იყო.

აღნიშნული კაპიტალის გენერირების წყარო კი უნდა გამხდარიყო მოსახლეობისთვის გაზრდილი ტარიფით დაგროვებული თანხები.

2012 წელს კომპანიამ აწარმოვა მოლაპარაკება ხელისუფლებაში ახლად მოსულ „ქართულ ოცნებასთან”, რის შედეგადაც 2013 წლის 31 მარტს ახალი, საიდუმლო მემორანდუმი გაფორმდა და ენერგოობიექტების აშენების ვალდებულება ელექტროენერგიის საფასურის 3 თეთრით შემცირებით ჩანაცვლდა, რასაც პარტია წინასაარჩევნოდ ჰპირდებოდა მოსახლეობას. სტუდია „მონიტორმა“ კომპანია „თელასს“ მიმართა 2007-2013 წლებში დაგროვებული თანხის რაოდენობისა და მისი განკარგვის შესახებ, თუმცა კომპანიამ ინფორმაცია არ გასცა, „კომერციული საიდუმლოების“ დაცვის პრინციპით. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „ინტერ რაომ“ 5,5 მილიონი ლარის ოდენობის მოგება მიიღო.

2023 წლის 15 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ საქართველომ „ინტერ-რაოსთან“ $76-მილიონიანი საარბიტრაჟო დავა წააგო. დავა კომპანიამ 2017 წელს დაიწყო მთავრობის წინააღმდეგ. არბიტრაჟში საჩივარი „ინტერ-რაოს“ ორი ჰოლანდიური შვილობილი კომპანიის, GARDABANI HOLDINGS B.V.-ის და SILK ROAD HOLDINGS B.V-ის სახელით იყო წარდგენილი. კომპანიას ელექტროენერგიის ტარიფების გაზრდა სურდა და ითხოვდა 2014 წელს ტარიფების განსაზღვრისას „ლარის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას“.

სს “თელასი”

სს „თელასის“ აქციების 75,11%-ის მფლობელია Silk Road Holdings B.V, რომლის 100%, თავის მხრივ, „ინტერ რაო“ ფლობს. „თელასის“ დანარჩენი აქციები, 24,53% არის შპს „ბესთ ენერჯი ჯგუფის“ საკუთრებაში, 0,36% - სხვა აქციონერების.

“თელასი” არის საქართველოს დედაქალაქის ერთადერთი ენერგომიმწოდებელი, რომელიც ემსახურება 697,4 ათას აბონენტს. სს „თელასის“ საქმიანობა მოიცავს: ელექტროენერგიის ტრანსპორტირებას; თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის მომსახურებას, ექსპლუატაციას, რეკონსტრუქციას, მოდერნიზებასა და გაფართოებას ელექტროენერგეტიკული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. კომპანიის ინფორმაციით, დედაქალაქში ელექტროენერგიის წლიური მოხმარება, დაახლოებით, 3 მლრდ კვტ/სთ შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოხმარების თითქმის 20%-ია.

წლიური ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს „თელასის“ წლიურმა მოგებამ შეადგინა 71,655,000 ლარი, რაც 221%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2020 წელს „თელასის“ მოგებამ 21,796,000 ლარს შეადგენდა. 2022 წლის 31 მარტის აქციონერთა კრების შედეგად, "თელასის" სამეთვალყურეო საბჭო დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:

- აბრამკოვი ალექსანდრე
- ვოლკოვი დმიტრი
- მახოვი იური
- სამარინი სერგეი
- გელენიძე ზურაბ
- ღურწკაია კობა

კობა ღურწკაიას ბიზნესინტერესები და საქმიანობა საქართველოში, ენერგეტიკის გარდა, არაერთ სფეროს ეხება. ღურწკაია სხვადასხვა კომპანიაში არის ბიზნესმენ ხვიჩა მაქაცარიას ბიზნესპარტნიორი და იმ კომპანიების დირექტორი, სადაც ხვიჩა მაქაცარია წილებს ფლობს. სწორედ ხვიჩა მაქაცარიას კომპანია „ბესთ ენერჯი ჯგუფი“ ფლობს კომპანია „თელასის“ 24,53%-ს.

2022 წლის მაისში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქე ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარიამ იყიდა სანქცირებულ რუს ოლიგარქთან, მიხაილ ფრიდმანთან დაკავშირებული „ვიონი საქართველოს“ 100% წილი.

კობა ღურწკაია არის შპს „ვინის“ ერთადერთი მფლობელი, აღნიშნული კომპანია, თავის მხრივ, შპს „ჯი ენ ელ“-ის 75%-ს ფლობს. 2017 წელს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შედეგად, შპს „ჯი ენ ელ“-ს 5 მილიონ აშშ დოლარად 10 წლით, 2027 წლამდე, საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა. ტენდერში სხვა კომპანია არ მონაწილეობდა. კობა ღურწკაია არის ჰოლდინგ CBS Group-ის დირექტორი. აღნიშნული ჰოლდინგის ვებგვერდის მიხედვით, ის ჩართულია საქართველოში მოქმედი არაერთი მსხვილი კომპანიის მართვაში, მათ შორის არის: "თბილისი მოლი", "თელასი", Caucasus Cable Systems, Caucasus Online, "თბილისის მიკროავტობუსი" და ა.შ.

სს "ხრამჰესი I" და სს "ხრამჰესი II"

„ხრამჰესი I“ არის მაღალმთიანი ელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში, წალკის რაიონში. იმავე რეგიონშია აშენებული „ხრამჰესი II“, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში, მდინარე ხრამის 115-ე კმ–ზე. „ხრამჰესი II“ მუშაობს სადღეღამისო რეგულირების რეჟიმში. ძირითადად იყენებს „ხრამჰესი I“–ის მიერ გამომუშავებულ წყალს. ორივე კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრეა Gardabani Holding B.V., რომელსაც, თავის მხრივ, „ინტერ რაო“ ფლობს. ორივე ჰიდროელექტროსადგურმა 2021 წელს გამოიმუშავა 629,1 მლნ. კვტ/სთ ენერგია, რაც საქართველოში საერთო მოხმარებული ენერგიის 4%-ს შეადგენს.

შპს "ენგურჰესი"

2008 წლის დეკემბერში, რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ „ინტერ რაოსთან“ კიდევ ერთი მემორანდუმი გააფორმა, რაც „ენგურჰესის“ ერთობლივ მართვას გულისხმობდა. „ენგურჰესი“ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია კავკასიაში, რომელიც მდინარე ენგურზე მდებარეობს. მისი ჯამური სიმძლავრე 1300 მეგავატია. „ენგურჰესმა“ 2021 წელს გამოიმუშავა 3,5 მილიარდი კვტ/სთ ენერგია, რაც საქართველოში საერთო მოხმარებული ენერგიის 22,5%-ს შეადგენს. "ენგურჰესის" კაშხალი საქართველოს ტერიტორიაზეა. ელექტროსადგური ადმინისტრაციული საზღვრის აფხაზურ მხარეს მდებარეობს. „ინტერ რაოსა“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმის შესახებ ქართულმა მხარემ პირველი კომენტარი ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთა. 2009 წლის 12 იანვარს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა მედიას განუცხადა, რომ "ენგურჰესის" მართვა რუსული და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად განხორციელდება. „ინტერ რაოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ "ენგურჰესის" "ეფექტიანად ექსპლუატაციის" მიზნით შეემუშავებინათ ათ წელზე არანაკლები ხანგრძლივობის პროგრამა.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, რუსულ კომპანიასთან დადებული მემორანდუმი არ გასაჯაროებულა. უცნობი დარჩა რეალურად რას ითვალისწინებდა მხარეებს შორის შეთანხმება. გაზეთმა „რეზონანსმა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ინფორმაციის მოპოვება ვერც სასამართლოს გზით მოახერხეს. დოკუმენტის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა 2012 წლიდანაც, ახალი ხელისუფლების პირობებშიც.

IDFI-მ მემორანდუმი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან 2022 წლის მაისში გამოითხოვა, თუმცა სახელმწიფო უწყებიდან პასუხი არ მიუღია. 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, წლის განმავლობაში „ენგურჰესმა“ ზარალზე იმუშავა, რამაც 53,960,000 ლარი შეადგინა. 2019 წელს აღნიშნული ზარალი 8,2 მილიონი ლარი იყო.

სს "საქრუსენერგო"

ქართულ ენერგობაზარზე მნიშვნელოვანი კომპანიაა „საქრუსენერგო“. ეს კომპანია ფლობს და აკონტროლებს ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის იმ ხაზებს, რომლითაც საქართველო ელექტროენერგიას რუსეთიდან იღებს. სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს“ 50% საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის, 50% კი რუსულ კომპანიას - Federal Grid Company of United Energy System (ПАО «ФСК ЕЭС»). „საქრუსენერგო“ სწორედ ამ ორმა სუბიექტმა დააფუძნა 1996 წელს. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა რუსეთის მოქალაქე ალექსეი მოლსკი, თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ თევზაძე (საქართველო), წევრები: მადინა კალოევა (რუსეთი), დმიტრი უსტიუგოვი (რუსეთი), ანდრეი ტულბა (რუსეთი), ალექსანდრე ჩივაძე (საქართველო), თეა გაბადაძე (საქართველო), ივანე როსტიაშვილი (საქართველო).

კომპანიის ინფორმაციით, „საქრუსენერგო“ ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 500, 330 და 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს. ერთ-ერთია სისტემათაშორისი, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვ ეგხ (ელექტროგადამცემი ხაზი) „კავკასიონი“, საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვ ეგხ „მუხრანის ველი“ და 330 კვ ეგხ „გარდაბანი“, საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 220 კვ ეგხ „აჭარას“. ასევე, შიდა სასისტემო 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებს: „იმერეთს“, „ქართლი-1“-ს, „ქართლი-2“-ს, „მუხრანსა“, და „ასურეთს“. კომპანიის საქმიანობის ამოცანა და მიზანია:

- საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ელექტროენერგიის შეუფერხებელი გადაცემა, მათ შორის, ტრანზიტული გადაცემის უზრუნველყოფა;
- მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა.

2019-2029 წლების საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით სს გეს „საქრუსენერგოს“ მიერ განსახორციელებელი პროექტებია:

- საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ახალი, ორჯაჭვა 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის“ მშენებლობა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე;
- 500 კვ ეგხ "მარნეული-აირუმის" მშენებლობა, 500 კვ ეგხ „მუხრანის" N42 ანძიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე;
- 500 კვ ეგხ „იმერეთის“ რეაბილიტაცია;
- ქსანი-სტეფანწმინდა მოზდოკის მშენებლობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2013 წლის აგვისტოში გაფორმებული 49-წლიანი იჯარის საფუძველზე, თბილისში, გლდანში, მარკ ბრონშტეინის ქ.№1-ში „საქრუსენერგოს“ გადაეცა 7500 და 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განხორციელდა კომპანიისათვის ოფისისა და ბაზის მშენებლობა და იგი ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წელს. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე კომპანია საქმიანობდა იჯარით აღებულ საოფისე ფართში და ასევე იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებული იყო კომპანიის ბაზა – ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სამსახური, თბილისის საექსპლუატაციო სარემონტო უბანი, მძიმე ტექნიკა და მასალების საწყობი. წლიური ანგარიშის მიხედვით, „საქრუსენერგოს“ მოგებამ 2021 წლისთვის 14,476,000 ლარი შეადგინა.

შპს "მტკვარი ჰესი"

საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ვებგვერდის მიხედვით, მათი ინიციატივით, „ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე ხორციელდება "მტკვარი ჰესის" პროექტის მშენებლობა". 2014 წელს თანაინვესტირების ფონდმა პროექტი სრულად შეისყიდა და მშენებლობა განაახლა. პროექტით, ჯამური დადგმული სიმძლავრე 53 მეგავატია, ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება კი 251,5 მლნ კვტ/სთ. აღსანიშნავია, რომ პროექტის სავარაუდო წლიური გამომუშავება შეადგენს საქართველოს მთლიანი ელექტროენერგიის მოხმარების 1,9% -ს (2019 წელს 13.4TWh).

2020 წლის თებერვლის დასაწყისში, „მტკვარი ჰესის“ მიერ, საქართველოში Double Shield TBM-ით გაყვანილი ყველაზე გრძელი და დიდი დიამეტრის მქონე გვირაბის ექსკავაცია დასრულდა, გვირაბის სიგრძე 9,6 კმ-ია, ხოლო ექსკავაციის დიამეტრი 6 მეტრი.

გვირაბის ექსკავაცია პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ეტაპი იყო, მოცემული ფაზის დასრულებით მშენებლობა დასკვნით ეტაპზე გადავიდა. პროექტი 2022 წლის დასაწყისში უნდა დასრულებულიყო და ექსპლუატაციაში შესულიყო. ბოლო ინფორმაციით, ეს პროცესი 2024 წლამდე გადაიდო. კომპანიის 100%-იან წილს შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ ფლობს, რომელსაც შპს „ჯი სი ეფ პარტნიორები“ მართავს. თავის მხრივ, „ჯი სი ეფ პარტნიორები“ თანაინვესტირების ფონდს მართავს.

შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ 100% წილი შპს „ჯი სი ეფ ლუქსემბურგის“ საკუთრებაშია, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი „ჯი სი ეფ ელპია“ (კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია). შპს „ჯი სი ეფ პარტნიორები“ თანაინვესტირების ფონდის მმართველი კომპანიაა. ანგარიშგების პორტალზე გამოქვეყნებული 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, კომპანია ჩართულია ინვესტიციების მართვის, ზოგადი მენეჯმენტისა და სხვა საკონსულტაციო მომსახურებების განხორციელებაში. ამავე ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს კომპანიამ დადო ზოგადი მმართველობითი მომსახურების ხელშეკრულება შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდთან” (GTDF), რომლის 100%-იან წილს „ქართუ ფონდი“ ფლობს.

შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის” დირექტორის პოზიციას 2019 წლიდან გიორგი ბაიდარაშვილი იკავებს, სწორედ მას შემდეგ რაც მან ა(ა)იპ “თბილისის განვითარების ფონდის” დირექტორის თანამდებობა დატოვა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სექტემბრის ცვლილებებით, მან ასევე დაიკავა “მტკვარი ჰოლდინგის” დირექტორის თანამდებობაც.

შპს „ჯი სი ეფ პარტნიორების“ 100%-ის მფლობელი 2022 წლის დეკემბრამდე საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე გიორგი ბაჩიაშვილი იყო, ხოლო გენერალური დირექტორი – ცოტნე ებრალიძე. ამჟამად კომპანიის 100% წილს კახა კობიაშვილი ფლობს. კობიაშვილი ბიძინა ივანიშვილის დისშვილია და, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის საქართველოში მოქმედი ოფშორული კომპანიების ოფიციალური წარმომადგენელი. ამასთან, კობიაშვილი დირექტორის პოზიციას იკავებს შპს “აქვა-ცენტრში”, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ოფშორული კომპანია Vanity Overseas Limited ფლობს;

შპს „ჯი სი ეფ პარტნიორების“ 100%-ის მფლობელი 2022 წლის დეკემბრამდე საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე გიორგი ბაჩიაშვილი იყო, ხოლო გენერალური დირექტორი – ცოტნე ებრალიძე. ამჟამად, კომპანიის 100% წილს კახა კობიაშვილი ფლობს. კობიაშვილი ბიძინა ივანიშვილის დისშვილია და, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის საქართველოში მოქმედი ოფშორული კომპანიების ოფიციალური წარმომადგენელი. ამასთან, კობიაშვილი დირექტორის პოზიციას იკავებს შპს “აქვა-ცენტრში”, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ოფშორული კომპანია Vanity Overseas Limited ფლობს; ამავე დროს, კობიაშვილი ფლობს 16,000 ლარი ოდენობის ბინას, ბოლო ინფორმაციით, ეს ბინა 2021 წელს 50,000 ლარად ოდენობით ანგარიშსწორებით, ბანკ ქართუ-ს ანგარიშზე ჩარიცხულ ფულად სახსრებზე

აღნიშნული კომპანიაც თანაინვესტირების ფონდს უკავშირდება, 100%-იან წილს კი აქაც „ჯი სი ეფ ლუქსემბურგი“ ფლობდა. კომპანიას 2017 წელს გამოეყო შპს „ჯი სი ეფ ჰაიდრო მტკვარი“, შპს „ლენტეხი ჰოლდინგი“ და შპს „ონი ჰოლდინგი“, ხოლო რეორგანიზაციის ფარგლებში, მასში გაერთიანდა შპს „ცხენისწყალი“, შპს „ხობი ჰოლდინგი“ და შპს „ნამახვანი ჰოლდინგი“. 2018 წელს კომპანიამ საფირმო სახელწოდება შეიცვალა და გახდა შპს „ბათუმი თაუერ ჰოლდინგი“, რომელიც ბათუმის რივიერას მშენებლობაში მშენებელი კომპანიის იპოთეკარად ჩაერთო. 2021 წელს კომპანიამ კვლავ გაიარა რეორგანიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც მას შპს „რიზორთ ჰოლდინგი“ შეერწყა და საბოლოო საფირმო სახელწოდებადაც აღნიშნული დარჩა. კომპანიის 100%-იან წილს GCF Luxembourg SARL ფლობს, დირექტორის პოზიციას კი ამჯერად გივი გაბელაია იკავებს, რომელიც, ამავდროულად, თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი პროექტის „აქსის თაუერ ჰოლდინგის“ დირექტორიცაა. 2022 წლის მარტის მდგომარეობით, ლეონტინა გალდავა, ამავდროულად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას იკავებდა, თუმცა ამჟამად მის შესახებ ინფორმაცია მათ ვებგვერდზე აღარ იძებნება. ამავე ვებგვერზე განთავსებული იყო ინფორმაცია, რომ ის პარალელურად 2018 წლიდან მუშაობდა საპარტნიორო ფონდში ენერგეტიკის მიმართულებით, ოფიცრის პოზიციაზე, რაც ასევე აღარ იძებნება. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, ის საქართველოში ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორია. უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადაცემასა და დისპეჩერიზაციას. ელექტროენერგიის გადაცემა ხდება ჰიდრო, თბო და ქარის ელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებამდე და პირდაპირ მომხმარებლებამდე.

სს “დარიალი ენერჯი”

სს „დარიალი ენერჯი“ ყაზბეგში, მდინარე თერგზე, „დარიალი ჰესს“ აშენებს. პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყაზბეგის რეგიონში, მდინარე თერგზე, დინების მიმართულებით ზღვის დონიდან 1,729 მეტრის სიმაღლეზე 108 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას/ოპერირებას. ჰიდროელექტროსადგური აგროვებს წყლის ნაკადს მდინარე თერგიდან და მიმართავს მას დერივაციული გვირაბით გენერალურ ნაგებობამდე, რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1334 მეტრზე, 1,2 კილომეტრში რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ჰესის წლიური სტაბილური გამომუშავება შეადგენს 500 მლნ კვ/სთ-ს, საიდანაც დაახლოებით 70% წარმოებული იქნება ზაფხულის თვეებში (მაისი-ოქტომბერი).

პროექტი ითვალისწინებს დარიალის ელექტროსადგურის ქვესადგურის კავშირს ეროვნულ ქსელთან, დარიალის 110 კვტ-იანი გადამცემი ხაზით. პროექტის მშენებლობის ხანგრძლივობაა 4,5 წელი და ექსპლუატაციის პერიოდის დაწყების შემდგომ ჰესის ამორტიზების მოსალოდნელი პერიოდი იქნება 40 წელი. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიცია შეადგენს 123 მილიონ აშშ დოლარს. კომპანიის ამჟამინდელი მეწილეები არიან შპს „ენერგია“ (44,27%), TEPCO Renewable power Singapore PTE (31,38%) და Lock W. Home Irrevocable Trust (24,35%). შპს „ენერგიას“ ორი მეწილე ჰყავს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მევლუდი ბლიაძე (70%) და შპს „ფერი“ (30%).

ბლიაძე რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენია, რომლის ძირითადი საქმიანობა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაა. რაც შეეხება შპს „ფერის“, მისი ძირითადი საქმიანობაა რთულ რელიეფურ პირობებში ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, მილსადენების, გზების, ხიდების, გვირაბების, სხვადასხვა კონსტრუქციების, შენობა-ნაგებობების, საბაგიროებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა. კომპანიის განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი იყო თანაინვესტირების ფონდის მტკვარი ჰესის გვირაბის ექსკავაციაც. წლიური ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს შპს „დარიალი ენერჯიმ“ მოგების სახით 24,169,000 ლარი მიიღო.

შპს „ენერგია“ („შილდაჰესი“)

„შილდაჰესი“ მცირე ჰესის წილის 70% რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძეს ეკუთვნის, 30% კი შპს „ფერის“. „შილდაჰესმა“ 2021 წელს გამოიმუშავა 18 მლნ. კვტ/სთ-ი ენერგია, რაც არის საერთო რაოდენობის 0,1%. შპს „ენერგიას“ ანგარიში საჯაროდ (ანგარიშგების პორტალზე) არ დევს.

შპს „ფშავი ჰიდრო“

კომპანიამ აჭარაში „სკურდიდი ჰესი“ ააშენა, რომელიც 1,33 მეგავატი სიმძლავრისაა. ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ კომპანიასთან მემორანდუმი 2014 წელს გააფორმა, როცა კომპანია რამდენიმე თვის დაფუძნებული იყო. ჰესი ექსპლუატაციაში 2019 წელს შევიდა. კომპანიის 87%-იან წილს საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე რაული ქურდაძე ფლობს, ხოლო დარჩენილ 13%-ს ასევე საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე ზვიად გუგავა.

ნავთობისა და გაზის ბაზარი

საქსტატის ინფორმაციით, ნავთობი, ნავთობპროდუქტები, აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები, 2022 წელს რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია.

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2021 წელი		2022* წელი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი სულ	**1,023,181.6**		**1,835,412.4**	
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	**135,128.8**	224,705.6	**622,747.4**	657,421.7
ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყლები	**90,682.4**	319,181.4	**112,377.5**	416,873.4
ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი	**11,541.0**	36,517.1	**66,768.4**	179,743.2
ხორბალი და მესლინი	**87,431.3**	337,838.0	**61,640.2**	174,132.9
კოქსი და ნახევარკოქსი	**23,427.0**	63,646.1	**59,159.3**	114,439.7
დანარჩენი საქონელი სულ	**674,971.1**		**912,719.7**	

*წინასწარი მონაცემები

ნავთობის სექტორში რუსული პროდუქციის წილი გაზრდილია. 2022 წლის სრული მონაცემების მიხედვით 2022 წელს საქართველომ 1,33 მილიარდი დოლარის ღირებულების 1,2 მილიონი ტონა ნავთობი შეიძინა, ხოლო 2023 წლის იანვარ თებერვალში - 158 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი.

2022 წლის განმავლობაში მხოლოდ რუსეთიდან 657 ათასი ტონა 623 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობის იმპორტი განხორციელდა. 2021 წელთან შედარებით საქართველომ 192%-ით მეტი რუსული ნავთობის შეიძინა, ხოლო თანხობრივად აღნიშნულმა ზრდამ 361% შეადგინა.

2022 წლის მონაცემებით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტში ყველაზე დიდი წილი საავტომობილო ბენზინსა და დიზელს უჭირავს.

კომპანიებში, რომლებიც საქართველოში ნავთობის ბაზარზე ოპერირებენ, რუსული მფლობელობის კვალი ნაკლებად შეიმჩნევა. ერთადერთი კომპანია, რომელშიც კვლავ ჩანს რუსული მფლობელობა, „ლუკოილ ჯორჯიაა“. რაც შეეხება „გალფს“, მისი მფლობელი „პეტროკასია“, “პეტროკასის” 49% წილს კი, თავის მხრივ, რუსული „როსნეფტი“ ფლობდა.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ „როსნეფტის“ წილი გასხვისდა, შესაბამისად, რუსული პირდაპირი კვალი ამ კომპანიაში აღარ გვხვდება. მიუხედავად ამისა, რუსული ნავთობის იმპორტის ზრდის ტენდენცია მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსული მფლობელობის არარსებობის მიუხედავად, საქართველოს ბაზარზე კომპანიების დიდი ნაწილი სწორედ რუსული ნავთობით მარაგდება. შესაბამისად, აღნიშნულ სექტორში ეკონომიკური დამოკიდებულების კომპონენტი კვლავ მზარდია.

„კონკურენციის ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს საავტომობილო ნავთობის ბაზრის დიდ ნაწილს აკონტროლებს 5 ყველაზე მსხვილი კომპანია და მათ შორის არის რუსული „ლუკოილ ჯორჯია“. „ტენდერების მონიტორის“ 2022 წლის მონაცემებით, კომპანიას, 2010 წლიდან 2022 წლის ივნისის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან ავტომობილის საწვავის მიწოდებაზე გაფორმებული აქვს 3 ათასამდე ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება 200 მილიონ ლარს აღწევს.

ბუნებრივი აირის სექტორში საქართველოში იმპორტი, ძირითადად, აზერბაიჯანიდან ხორციელდება. 2021 წელს რუსეთიდან იმპორტირებულ გაზში გადახდილი თანხა სრული იმპორტირებული გაზის ღირებულების 22% იყო.

ჯამურად, 2021 და 2022 წლებს შორის (საქსტატის 2022 წლის საგარეო ვაჭრობის ანალიზი) რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ღირებულება $90,7 მილიონიდან - $112 მილიონამდე გაიზარდა. რაც შეეხება მოცულობას - იგი 319,181 ტონიდან 416,873 ტონამდე გაიზარდა.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის იმპორტიორ კომპანიებს საქართველოს ბაზარზე, რუსული მფლობელობა ან/და სხვა სახის რუსული კავშირები აღნიშნული მიმართულებით არ იძებნება.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელმა კომპანიამ რა რაოდენობის ნავთობი შემოიტანა, კონფიდენციალურია, შესაბამისად, შეუძლებელია განსაზღვრა, თუ რომელი იმპორტიორების ხარჯზე გაიზარდა საქართველოში რუსული ნავთობის მოცულობა.

2022 წლის 17 აგვისტოს კონკურენციის სააგენტომ გამოაქვეყნა საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, აპრილი-ივლისის პერიოდში საწვავის იმპორტის დინამიკამ აჩვენა, რომ ბაზარზე მზარდი იყო რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის მოცულობა და ის საერთო იმპორტის 64-65%-ს შეადგენდა.

სააგენტოს განცხადებით, საცალო ფასის მაკომპლექტებელი ფაქტორების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება საშუალოდ 30-70 თეთრით დაბალია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით, თუმცა საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში საწვავის რეალიზაცია ხდება ევროპული საწვავის იდენტურ ფასად. ნავთობის სექტორში ქართულ ბაზარზე არსებული კომპანიებიდან რუსული მფლობელობა ამ ეტაპისათვის მხოლოდ „ლუკოილ ჯორჯიაში“ ნარჩუნდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთიდან საწვავის იმპორტიორებს შორის არის ბაზარზე მოთამაშე ყველაზე მსხვილი 5 კომპანიიდან 4: „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (“გალფი”), „ლუკოილ ჯორჯია“, „ვისოლი“ და „სოკარი“. აღნიშნულ კომპანიებს, კვლევის ფარგლებში, ელექტრონული ფოსტით გაეგზავნათ კითხვები, თუ რა რაოდენობის საწვავის იმპორტი განახორციელა თითოეულმა მათგანმა რუსეთიდან მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის ჩათვლით, ასევე, რუსეთიდან იმპორტირებულ საწვავს რა პროცენტული წილი უკავია მათ მიერ 2022 წელს იმპორტირებული საწვავის საერთო რაოდენობაში. კომპანიებს დამატებით დაესვათ კითხვები, რა არის მთავარი მიზეზი/მიზეზები, რის გამოც რუსეთიდან ახორციელებენ საწვავის იმპორტს. ამ კითხვებზე არც ერთ კომპანიას პასუხი არ გაუცია.

შპს „ლუკოილ ჯორჯია“

საქართველოში ნავთობის საცალო ბაზრის მოცულობა 2021 წელს შეადგენდა 1,322,225 ათას ლიტრს, მოქმედი კომპანიების რაოდენობა — 506, ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა კი — 1232. საქართველოს საცალო ნავთობის ბაზარზე 5 მსხვილი კომპანია აკონტროლებს ბაზრის 59%-მდე წილს (2022 წლის მონაცემები, კონკურენციის ეროვნული სააგენტო), მათგან ერთ-ერთია რუსული „ლუკოილ ჯორჯია“.

„ლუკოილ ჯორჯია“ საქართველოში 2002 წელს არის რეგისტრირებული. 2020 წლის დეკემბრიდან კომპანიის 100%-ის მფლობელია LITASCO SA, რომელსაც, თავის მხრივ, ფლობს რუსული Lukoil Public Joint Stock Company. „ლუკოილ ჯორჯიას“ დირექტორია სერბეთის მოქალაქე მიხაილო იუროვიჩი (Mikhailo Jurovich). რუსული „ლუკოილი“ 2022 წლის იანვარში ამერიკის მიერ სანქცირებული კომპანიების სიაში მოხვდა, რაც ნავთობის პროექტების შეზღუდვას გულისხმობს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ნავთობქიმიკატების საბითუმო და საცალო გაყიდვები ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობის სასაწყობე ბაზების ქსელის საშუალებით, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით არის განთავსებული. კომპანიის მონაცემებით, ის საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს 57 ბენზინგასამართ სადგურს, მათგან 21 მდებარეობს დედაქალაქ თბილისში. „ლუკოილ ჯორჯია“ წლებია აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებში.

„ტენდერების მონიტორის“ 8 აგვისტოს მონაცემებით, კომპანიას, 2010 წლიდან 2022 წლის ივნისის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან ავტომობილის საწვავის მიწოდებაზე გაფორმებული აქვს 3 ათასამდე ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება 200 მილიონ ლარს აღწევს. ბოლო წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, ძირითადად, მოიცავს პირდაპირ, გამარტივებულ შესყიდვებს. „ლუკოილ ჯორჯიას“ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები აჩვენებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში კომპანიის საერთო მოგება მცირდება. ფინანსური ანგარიშგების პორტალზე, სადაც საჯაროდ ქვეყნდება ქვეყანაში მოქმედი კომპანიების წლიური ანგარიშები, ხელმისაწვდომია „ლუკოილ ჯორჯიას“ წლიური ანგარიშები 2016-დან 2021 წლის ჩათვლით. აღნიშნული წლიური ანგარიშების მიხედვით, „ლუკოილ ჯორჯიას“ წლიური მოგება 2016 წელს 11,7 მილიონი ლარი იყო, 2017 წელს — 4,6 მილიონი ლარი, 2018 წელს — 13,6 მილიონი ლარი, 2019 წელს — 3,2 მილიონი ლარი, 2020 წელს 1,2 მილიონი ლარი, 2021 წელს კი 1,4 მილიონი ლარი.

„ლუკოილ ჯორჯიასთან“ დაკავშირებულია საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის სახელი. ქართული მედიის 2017 წლის ინფორმაციით, სწორედ ის იკავებდა ლუკოილის დირექტორის მოადგილის პოზიციას. მოგვიანებით, „თავისუფლების მონიტორის“ გამოძიებამ დასვა კითხვები “ლუკოილისა” და უშუალოდ ფარცხალაძის ჩართულობაში, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებაში არსებული სავარაუდო მონოპოლიური/კორუფციული სქემების შესახებ.

შპს „პეტროკას ენერჯი ჯორჯია”

„პეტროკას ენერჯი ჯორჯიას” წილის 100%-ს ფლობს კვიპროსში რეგისტრირებული „პეტროკას ენერჯი მენეჯმენტ ლიმითედი“. „პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“ დირექტორია საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ქათამაძე. ერთ-ერთი დამფუძნებელია ვანო ნაკაიძე. 2014 წლიდან კომპანიის 49%-ს რუსული „როსნეფტი“ ფლობდა, რომელიც 2022 წლის მაისში ნაკაიძემ გამოისყიდა.

საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტებით არ ჩანს კონკრეტულად რა კომპანიების საშუალებით ფლობს ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი „პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“, თუმცა მედიაში არაერთი ინფორმაცია იძებნება ამის შესახებ. მაგალითად, Forbes-ის მონაცემებით, ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა და მისმა პარტნიორებმა 2010 წელს გაყიდეს რუსეთში უმსხვილესი საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია Wimm-Bill-Dann-ის წილები. იაკობაშვილმა 10,5%-იანი წილის სანაცვლოდ მიღებული $600 მილიონის ინვესტიცია განახორციელა სწორედ კომპანია „პეტროკას ენერჯიში“.

„პეტროკას ენერჯი ჯორჯია“ საქართველოში რამდენიმე მსხვილ კომპანიას აკონტროლებს ნავთობის სფეროში. კომპანიის ინფორმაციით, ესენია: 1. შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ“ (ფოთის ნავთობტერმინალი), 2. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (გალფის ბენზინგასამართი სადგურების ქსელი), 3. Gulf Aviation. კომპანიის ინფორმაციით, „პეტროკასის“ ერთ-ერთი საქმიანობა კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებიდან წამოსული ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაა.

შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ“ - საქართველო

„ჩენელ (ფოთი) ლიმითედ ენერჯი“ ფლობს შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ (ფოთის ნავთობტერმინალი) 32,67%-ს. ნავთობტერმინალის სხვა მეწილეები არიან ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული „დანედო მენეჯმენტ კორპ“ (16,33%) და ასევე „ოტორა ტრეიდინგ“ (51%). თავის მხრივ, „ჩენელ ენერჯი - საქართველოს“ 75%-ის მფლობელია გიბრალტარში რეგისტრირებული „ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედ“, 25%-ს კი სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ფლობს. იმის გამო, რომ აღნიშნული კომპანიები ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით ამ ეტაპზე შეუძლებელია მფლობელობის სრული ჯაჭვის ასახვა, თუმცა „პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“ საჯაროდ აქვს გაცხადებული თავისსავე ვებგვერდზე, რომ სწორედ ის ფლობს და აკონტროლებს ფოთის ნავთობტერმინალს, ასევე „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურების ქსელსა და „გალფ ავიაცია საქართველოს“ (Gulf Aviation Georgia).

Gulf Aviation Georgia

საავიაციო „პეტროკას ენერჯი საქართველოს“ ჰოლდინგის ნაწილია 2017 წლიდან. ის საწვავს აწვდის თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებს და ასევე ადგილობრივ აეროპორტებში მოქმედ ავიაკომპანიებს. კომპანიის ცნობით, ის საწვავს აწვდის შემდეგ ავიაკომპანიებს: Turkish Airlines, Air France, LOT Polish Airlines, Etihad Airways, Ryanair, Pegasus Airlines, Ukraine International Airlines, El Al Airlines, MyWay Airlines, Georgian Airways.

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“

2010 წელს ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნის მიზნით, საქართველოში შეიქმნა შპს „სონოილ ოილ ფროდაქთსი“, რომელსაც, საბოლოოდ, 2011 წლის მარტში დაერქვა „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ კომპანია საქართველოს მასშტაბით ფლობს: 150 ბენზინგასამართ სადგურს, 65 მაღაზიასა და თხევადი აირის (CNG) 5 ტერმინალს, რომლის ტევადობაც 25 მილიონი ლიტრია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო დედა კომპანია იყო Energy Investment Venture Holdings, რომელიც აშშ-შია რეგისტრირებული და მისი საბოლოო მაკონტროლებელია „პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედ“, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში. კომპანიის დირექტორია აშშ-ის მოქალაქე ქრეიგ სთივენ ქრამერი.

„სან პეტროლიუმ ჯორჯია“ წლების განმავლობაში იყო საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის მფლობელობაში. მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბერში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ“ შეცვალა, არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ” განცხადება გაავრცელა იმის შესახებ, რომ დავით კეზერაშვილი 2012 წლის ნოემბრის მდგომარეობით არ ირიცხებოდა კომპანიის აქციონერთა რიგებში. მათივე ცნობით, „გალფში“ თავისი წილი გაზარდა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა.

საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემებში წილების აღნიშნული ცვლილება არ ასახულა. კომპანიაში იცვლებოდა მონაცემები მხოლოდ მენეჯმენტის შესახებ და „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მფლობელად კვლავ Energy Investment Venture Holdings დარჩა. სავარაუდოდ, გარიგება საქართველოს საზღვრებს გარეთ, რომელიმე ოფშორულ ზონაში მოხდა.

2013 წლის ივნისში არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ თავის ანგარიშში წერდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული დავით კეზერაშვილის ბიზნესების ნაწილი არჩევნების შემდეგ სწორედ დავით იაკობაშვილის მფლობელობაში გადავიდა, სავარაუდოდ, ოფშორულ ზონებში გაფორმებული გარიგებების შედეგად.

„მთავრობის შეცვლის შემდეგ რამდენიმე სარეკლამო და ენერგოკომპანიამ, რომლებსაც ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიები ფლობენ (რეალურად, ამ კომპანიებს დავით კეზერაშვილი ან მასთან დაახლოებული პირები აკონტროლებენ), მფლობელები შეიცვალა. როგორც ჩანს, ამ კომპანიებიდან რამდენიმე თბილისში დაბადებულმა რუსმა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა შეიძინა”, – ნათქვამია ანგარიშში. იგივე დოკუმენტი მიუთითებდა დავით იაკობაშვილისა და „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის კავშირებზეც.

ანგარიშის მიხედვით, „2012 წლის მარტში ივანიშვილის აგრო-ინდუსტრიულმა კომპანიამ „სტოილენსკაია ნივამ“ რამდენიმე პურის ქარხანა შეიძინა იაკობაშვილის ჰოლდინგ ЗАО Русагропроект-ისგან (რუსული აგრარული პროექტი). იაკობაშვილმა ამ გარიგების შესახებ ინფორმაცია 2012 წელს დაადასტურა, მაგრამ არ გაამხილა გარიგების ზუსტი ღირებულება.

ბოლო მონაცემებით, „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საცალო ქსელი საქართველოში იზრდება. 2022 წლის 24 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების (იჯარით აღება) ნებართვა გასცა.

“პეტროკასის” კავშირები “როსნეფტთან” და სანქციირების საფრთხე

„პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“ წილების 49%-ს 2014 წლის დეკემბრიდან ფლობდა რუსული ენერგოკომპანია „როსნეფტი“, რომელიც პარალელურად საქმიანობდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთში. 2022 წლის მაისში „პეტროკასმა“ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, კომპანიის CEO-მ ვანო ნაკაიძემ გამოისყიდა „როსნეფტის“ წილები და, შესაბამისად, რუსული ენერგოკომპანია მეწილეებში არ ირიცხებოდა.

2022 წლის ზაფხულში უკრაინულ პლატფორმაზე „ომი და სანქციები“ გაჩნდა ჩანაწერი **„პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“ დედა კომპანიის, კვიპროსში რეგისტრირებული PETROCAS ENERGY INTERNATIONAL LIMITED-ისა და მისი დამფუძნებლის, ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის შესახებ, რომ „მას მჭიდრო კავშირი აქვს რეჟიმთან, რომელმაც მოამზადა და აწარმოებს აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ, რომელშიც ჩადენილია დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ის 2018 წლის 26 დეკემბერს იყო კრემლში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრაზე, რომელზეც განიხილეს საკითხები სახელმწიფოს ეკონომიკასთან დაკავშირებით. ამრიგად, სუბიექტი პასუხისმგებელია მატერიალურ ან ფინანსურ მხარდაჭერაზე იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ძირს უთხრის ან საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.”** აღნიშნული პლატფორმა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულმა ბიურომ შექმნეს.

პროექტის აღწერის მიხედვით, „ომი და სანქციები“ არის მონაცემთა ბაზა, სადაც აღრიცხულნი არიან რუსეთის ხელისუფლების მხარდამჭერი, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესები და ბიზნესმენები, ასევე ის სუბიექტები, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინასთან რუსეთის ომს. ბაზაში შეყვანილთა ნაწილი სანქცირებულია, ნაწილის სანქცირებაზე კი მუშაობა გრძელდება. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, ბაზის შექმნის მიზანი ასეთი კომპანიებისა და ბიზნესმენების შესახებ ცნობების შეგროვება და მისი სხვა ქვეყნებისთვის გაზიარებაა. „პეტროკასი“ და ბიზნესმენი იაკობაშვილი ბოლო მონაცემებით არ არის რომელიმე ქვეყნის მიერ სანქცირებული და ამის შესახებ ამ ეტაპზე არავის უსაუბრია, გარდა უკრაინის ხელისუფლებისა.

ბუნებრივი აირი

ჯამურად, 2021 და 2022 წლებს შორის (საქსტატის 2022 წლის საგარეო ვაჭრობის ანალიზი) რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ღირებულება $90,7 მილიონიდან $112 მილიონამდე გაიზარდა. რაც შეეხება მოცულობას - 319,181 ტონიდან 416,873 ტონამდე.

2022 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ჯამურად 1657 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის იმპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 225 მილიონ დოლარამდე მიაღწია. ჯამური თანხიდან 192 მლნ აშშ დოლარზე მეტი აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ გაზშია გადახდილი, ხოლო დარჩენილი 33 მლნ-მდე დოლარი რუსულ გაზში. უცნობია, აღნიშნული თანხებით რა მოცულობის ბუნებრივი აირია შესყიდული, რადგან ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია. სტატისტიკის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს რუსულ გაზში გადახდილი თანხის წილი სრულ იმპორტირებულ ბუნებრივ აირში გადახდილი თანხის 22% იყო, რამაც თანხობრივად 70,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორბსის მონაცემებით, 2020 წელს რუსულ გაზში გადახდილი თანხა 36,9 მლნ დოლარი იყო, რაც თითქმის 2-ჯერ ნაკლებია 2021 წლის მონაცემზე.

დასკვნა

კვლევის - "რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში" - ფარგლებში IDFI-მ შეისწავლა საქართველოში არსებული 11 წამყვანი სექტორი. 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, მსხვილი რუსული კომპანიები და კაპიტალი საქართველოში ნაკლებად არის წარმოდგენილი. საერთაშორისო საქნციებმა პირველ რიგში მსხვილ კომპანიებზე იმოქმედეს და კიდევ უფრო შეამცირეს მათი წარმომადგენლობა, რაც, მაგალითად, საბანკო ("ვითიბი") და საკომუნიკაციო ("ბილაინი") სექტორების შემთხვევებში გამოვლინდა.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაკადი შემოვიდა. აღნიშნული პირდაპირ აისახა გადმორიცხვებზე, ქართულ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებზე, უძრავ სექტორში ფასების ზრდაზე, ახალი კომპანიების რეგისტრაციაზე და სხვა სფეროებზე. ამ გზით შემოსული კაპიტალი ზრდის რუსული გავლენის საფრთხეებს და საჭიროებს დაკვირვებას და შემდგომ შესწავლას. მთლიანობაში, რუსული მიგრაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რთული და მრავალმხრივია: მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მიგრაციას მოკლე ვადაში მყისიერი ეფექტი გააჩნდეს (მაგალითად - ლარის გამყარება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში), ეს იძლევა შეშფოთების საბაბს და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური ზემოქმედება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს საქართველოს შიდა მოხმარებაში მაღალი წილი აღარ უჭირავს, რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება კვლავ საგულისხმოა (განსაკუთრებით აღნიშნული ეხება თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებას). რუსეთი წლებია იყენებს ენერგორესურსებს, როგორც პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტს სხვა ქვეყნებთან ენერგომოკიდებული ურთიერთობების დამყარებით. ენერგეტიკულ დამოკიდებულებას შეუძლია რუსეთს მნიშვნელოვანი ბერკეტი მისცეს საქართველოში პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთის მიმართ გამოყენებული სანქციები და მათი თავიდან არიდების საშუალებები. საქართველოდან სომხეთში ექსპორტირებული პროდუქცია, სავარაუდოდ, რეექსპორტის გზით რუსეთში ხვდება. ზემოხსენებულის თქმის საფუძველს ბოლო დროს სომხეთში გაზრდილი სასაქონლო ექსპორტის მონაცემები იძლევა.

საქართველომ უნდა გააკონტროლოს და თავიდან აირიდოს ყველა შემოვლითი გზა, რომლითაც რუსეთის ფედერაცია სანქცირებული ტვირთების მიღებას შეძლებს.

რუსეთის ფედერაციის მიმართ ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება, ბაზრების დივერსიფიკაცია და მეტი დასავლური ინვესტიციის მოზიდვა საქართველოს ეგზისტენციალურ მიზნებს წარმოადგენს.

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

FROM THE AMERICAN PEOPLE

კვლევა მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და Zinc Network-ის დახმარებით. კვლევაში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება IDFI-ის და იგი არ ასახავს USAID-ის, შეერთებული შტატების მთავრობის ან Zinc Network-ის შეხედულებებს.